F-171
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა
და
ინსტრუქციათა
კრებული

თბილისი
1980

სექტემბერი № 9 СЕНТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И
ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 12/XI-81 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/II-81 წ.;
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 6,9;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,25

შეკვეთა № 1035 უე 17430 შეკვეთა 5 000

უ ფ ა ს ო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.
Типография Министерства просвещения ГССР, Нуцубидзе 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F. 4770

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

1980 წლის 27 მარტის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სკოლებსა და სახალხო განათლების განყოფილებებში მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა პირადი საქმეებისა და შრომის წიგნაკების წარმოების მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში ერთგვარად გაუმჯობესდა მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა პირადი საქმეებისა და შრომის წიგნაკების წარმოების მდგომარეობა, რაც ხელს უწყობს პედაგოგიური სტაჟისა და შრომის ანაზღაურების დადგენილი წესით განსაზღვრას, ამ საქმეში კანონმდებლობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სახალხო განათლების რაიონულ და საქალაქო განყოფილებებში მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა პირადი საქმეები და შრომის წიგნაკები, ძირითადად, იწარმოება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა შრომის შინაგანაწესისა“ და „საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის წიგნაკების წარმოების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

მიუხედავად ამისა, მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა პირადი საქმეებისა და შრომის წიგნაკების წარმოების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთმა განათლების განყოფილებამ ვერ უზრუნველყო დაქვემდებარებული დაწესებულებები საჭირო რაოდენობის შრომის წიგნაკების ბლანკებით, რამაც განაპირობა ის, რომ ყველა მუშაკზე არ არის შევსებული შრომის წიგნაკი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი აღნიშნულ დაწესებულებებში უკვე დიდი ხანია მუშაობს.

მაგალითად, შემოწმების დღეს შრომის წიგნაკები არ იყო შევსებული ქ. წყალტუბოს მე-3 საშუალო სკოლის 3 მასწავლებელზე,

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც დიდი ხანია მუშაობენ ამ სკოლაში და აბაშის რაიონის სოფელ ზანათის საშუალო სკოლის მასწავლებელ ბაღათურიაზე, რომელიც აღნიშნულ სკოლაში 1979 წლის 20 აგვისტოდან მუშაობს. ქ. წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლის სახვითი ხელოვნების წრის ხელმძღვანელ ნ. ქუთათელაძეზე, რომელიც სკოლაში 1978 წლის 10 იანვრიდან მუშაობს, შრომის წიგნაკი მხოლოდ 1979 წლის 11 ივლისს შეავსეს. ამავე სკოლაში ადგილზე არ იყო ორი მასწავლებლის, ხოლო ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების 4 მუშაკის შრომის წიგნაკი.

არის შემთხვევები, როცა ჩანაწერები მუშაკის სამსახურში მიღების ან გადაადგილების შესახებ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შეაქვთ შრომის წიგნაკებში.

იმის გამო რომ რიგ დაწესებულებებში არა აქვთ შრომის წიგნაკების ჩანართები, ცნობები მუშაობის შესახებ ხშირად შეაქვთ შრომის წიგნაკების სხვა განყოფილებაში, მაგალითად, განყოფილებაში „ცნობები წახალისების შესახებ". არის იმის ფაქტებიც, როცა შრომის წიგნაკში არ არის ნაჩვენები საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის ან სასწავლებელში სწავლის დრო, რომელიც შრომის სტაჟში ითვლება, არ არის აგრეთვე ცნობები დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ.

ხშირად შრომის წიგნაკებში დათხოვნის მიზეზები, როგორც წესი, იწერება შრომის კანონთა კოდექსის ფორმულირების შეუსაბამოდ, კანონის სათანდო მუხლის, პუნქტის მიუთითებლად, როგორც ამას მოითხოვს სსრკ მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1974 წლის 22 ივნისის № 62 დადგენილებით დამტკიცებული და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებული „შრომის წიგნაკების წარმოების წესის შესახებ" ინსტრუქციის 32-ე მუხლი.

ზოგიერთ შემთხვევაში შრომის წიგნაკებში არ არის მფლობელის ხელის მოწერა, შრომის წიგნაკის შევსების თარიღი, სატიტულო ფურცელზე შეუვსებელია სვეტები „პროფესია", „განათლება", არ არის მისი გაცემისათვის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოს ბეჭედი, სადაც პირველად შეივსო მუშაკის შრომის წიგნაკი. შრომის წიგნაკებში არის არა-

ზუსტი ჩანაწერების ფაქტებიც. მაგალითად, ნაცვლად „დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში“, ეწერ-ნიშნულია „სასწავლო ნაწილის გამგე“ და სხვ.

გვხვდება შრომის წიგნაკებში ჩანაწერების არასწორი ფორმულირების შეტანის შემთხვევებიც. მაგალითად: ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის რიგი სკოლების, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის საშუალო სკოლის მასწავლებელთა ერთი ნაწილის შრომის წიგნაკებში ასეთი ჩანაწერებია: „დაინიშნოს“, „გათავისუფლდეს“ და სხვ. ნაცვლად „დანიშნულია“, „გათავისუფლებულია“ და ა. შ.

შრომის წიგნაკების შევსებისას ზოგჯერ ადგილი აქვს ინსტრუქციის მე-10 და მე-11 მუხლების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევებს, შრომის წიგნაკებში ჩანაწერები არ შეაქვთ რუსულ ენაზე, ყველა ჩანაწერის თანმიმდევრობა აღინიშნება რომაული ციფრებით, ნაცვლად არაბულისა, არ იცავენ დადგენილ წესს შრომის წიგნაკებში (ჩანართ ფურცელში) ჩანაწერების იისფერი მელნით შეტანის შესახებ.

გეგეჭკორის რაიონის სოფლების ლეძავეს, დიდიჭყონის, სერგიეთისა და ქ. გეგეჭკორის 1-ლ საშუალო სკოლებში არასრულყოფილად და ინსტრუქციის შეუსაბამოდ იწარმოება პედაგოგიურ მუშაკთა შრომის წიგნაკები.

რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში არ აგზავნიან განაცხადებს შრომის წიგნაკებისა და ჩანართი ფურცლების საჭიროებაზე, არ წარმოადგენენ საჭირო ანგარიშებს მათი გამოყენებისა და შემოსული თანხის თაობაზე.

შრომის წიგნაკებში არასწორი ჩანაწერები აფერხებს პენსიის გაფორმებას, ქმნის მშრომელთა საჩივრებს მუშაობის საჭირო სტაჟის არასწორად განსაზღვრის შესახებ და გავლენას ახდენს ხელფასის გაანგარიშების დროს მასწავლებელთა ტარიფიკაციაზე და სხვ.

განათლების ზოგიერთ დაწესებულებებში სათანდოდ არ არის ორგანიზებული შრომის წიგნაკების შენახვა. მაგალითად, სეიფისა და ლითონის ყუთის ნაცვლად შრომის წიგნაკები ზოგჯერ ინახება საწერ მაგიდაში ან კარადაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგია აგრეთვე აღნიშნავს, რომ შემოწმებული სკოლების გარკვეულ ნაწილში მოუწესრიგებელია მასწავლებელთა პირადი საქმეები, დარღვეულია შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, არ არის საჭირო და აუცილებელი დოკუმენტები, ბრძანებები სამუშაოზე მიღების, გადაადგილების, ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, დახასიათებები და სხვა. ზოგჯერ კი პირიქით, პირადი საქმეები გადატვირთულია არასაჭირო და მოძველებული ცნობებით, დახასიათებებით და სხვ. (ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას, აბაშის რაიონის სოფლების ზანათის საშუალო, აბაშისპირის რვაწლიანი სკოლები, ქ. წყალტუბოს ზონის სოფელ გვიშტიბის, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის საშუალო სკოლები და სხვ.).

ქ. თბილისის ოქტომბრის, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ზოგიერთ სკოლაში მასწავლებელთა პირად საქმეში არ არის მასალები ატესტაციის შედეგების შესახებ.

მთელ რიგ სკოლებში იწარმოება სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული პირადი ბარათი (ტიპური ფორმა ტ-2). არ სრულდება დადგენილი წესის მოთხოვნები სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის თაობაზე ჩანაწერების პირად ბარათში მუშაკის ხელისმოწერით გაცნობის შესახებ.

ყველა სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე არ არის გამოკრული სკოლის მუშაკთა შრომის შინაგანაწესი, ამასთან იგი ზოგადია, გათვალისწინებული არ არის მოცემული სკოლის მუშაობის კონკრეტული პირობები, და ფაქტიურად წარმოადგენს სსრკ განათლების სამინისტროს მიერ ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის შედგენილი სანიმუშო შინაგანაწესის ასლს.

შრომის წიგნაკებისა და პირადი საქმეების წარმოების მოქმედი წესის აღნიშნული დარღვევები აიხსნება იმით, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის რიგი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა არ იციან, ანდა სუსტად იციან შრომის კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები, სსრკ შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქცია შრომის წიგნაკების წარმოების წესის შესახებ. ეს იმის შედეგიცაა, რომ ადგილებზე სახალხო განათლების განყოფილებებში, სკოლებში და სხვა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებულებებში არა აქვთ ინსტრუქცია შრომის წიგნაკების წარმოების წესის შესახებ, საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები შრომის კანონმდებლობის შესახებ.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს:

1.1. აღმოფხვრან მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა პირადი საქმეებისა და შრომის წიგნაკების წარმოებაში არსებული ნაკლოვანებანი, განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები პედაგოგიური კადრების პირადი საქმეებისა და შრომის წიგნაკების მოქმედი წესისა და ინსტრუქციის შესაბამისად წარმოების, აღრიცხვის, შენახვისა და გაცემის უზრუნველსაყოფად. მიაღწიონ, რომ სამუშაოზე ახლადმიღებული მუშაკებისათვის შრომის წიგნაკების გადაცემა ხდებოდეს საზეიმო ვითარებაში მშრომელთა კოლექტივისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

1.2. მიიღონ ზომები დაქვემდებარებული დაწესებულებების საჭირო რაოდენობის შრომის წიგნაკების ბლანკებით და ჩანართი ფურცლებით, აგრეთვე საჭირო ინსტრუქციებით, დებულებებით, შრომის კანონმდებლობის ნორმატიული დოკუმენტებით და, უწინარეს ყოვლისა, შრომის წიგნაკების წარმოების წესის ინსტრუქციით უზრუნველყოფისათვის.

1.3. მოაწყონ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვის სემინარები, თათბირები, კურსები და სხვა სახის სწავლება ამ საქმეში მოქმედი კანონმდებლობის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის.

1.4. აღმოფხვრან შრომის წიგნაკების შენახვა-დაცვის საქმეში არსებული დარღვევები, შექმნან ამისათვის სათანდო პირობები, ყველა დაწესებულება უზრუნველყონ ცეცხლგამძლე ლითონის ყუთებითა და ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტაციით.

1.5. სამინისტროს კოლეგიისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად განიხილონ საკითხი მუშაკთა შრომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნაკებისა და პირადი საქმეების წარმოების მდგომარეობის სახებ.

1.6. ინფორმაცია აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილი იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში 1980 წლის 1 ოქტომბრამდე.

2. აღინიშნოს ქ. თბილისის ოქტომბრის, გეგეჭკორის, აბაშის რაიონების, წყალტუბოს ზონის სახალხო განათლების განყოფილებათა (შ. გორგოძე, ა. ხუროძე, ა. ცანავა, მ. ინასარიძე) სუსტი მუშაობა შრომის წიგნაკებისა და პედაგოგიურ მუშაკთა პირადი საქმეების დადგენილი წესით წარმოებისათვის სკოლებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის საქმეში.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) სათანადო კონტროლი განახორციელოს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიმართ მუშამოსამსახურეთა შრომის წიგნაკებისა და პირადი საქმეების შედგენისა და წარმოების საქმეში კანონმდებლობის განუხრელად გატარებისათვის, სისტემატურად შეისწავლოს განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში ამ მიმართებით გაწეული მუშაობის მდგომარეობა და დასახოს საჭირო ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კოლეგიის თავმჯდომარე
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

1980 წლის 27 მარტის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ებ

რესპუბლიკაში გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე (თან ერთვის) კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ცნობა „გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ" სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2.1. შეისწავლონ გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების რაციონალურად განლაგების, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზების საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

2.2. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების კეთილმოწყობას, შექმნან იქ სწავლისა და აღზრდის ნორმალური პირობები, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საზოგადოებრიობა, მშობლები, კოლმეურნეობები, საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები;

2.3. სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად იზრუნონ ბავშვთა კვების გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყონ მოქმედი ნორმების შესაბამისად მათი საჭირო და მაღალხარისხოვანი პროდუქტებით მომარაგება;

2.4. საკითხის შესწავლისა და ღონისძიებათა დასახვის დროს განუხრელად იხელმძღვანელონ 1977 წლის 14 აპრილს დამტკიცებული გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ტიპური დებულებით.

3. მოწონებულ იქნას ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების (ამხ. მ. ნარმანია) მუშაობა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების კეთილმოწყობის, სწავლებისა და აღზრდის საქმეში საზოგადოებრიობისა და კოლმეურნეობების ფართოდ ჩაბმისათვის.

4. აღინიშნოს ყვარლის, ხაშურის, მესტიის, წალკისა და მარნეულის რაიონების განათლების განყოფილებათა (ამხ. ამხ. გ. შავგულიძე, შ. ლაბაძე, ა. ჩახვინიანი, ა. მელტონიანი, გ. ნაბიევა) არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ამ მხრივ.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) საჭირო კონტროლი განახორციელოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ შეისწავლა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობა ქ. ქ. ზუგდიდსა და ჭიათურაში, ყვარლის, ზუგდიდის, ხაშურის, წალკის, მესტიისა და მარნეულის რაიონებში.

საკითხის ადგილზე შესწავლითა და სტატისტიკური მასალების გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაფართოვდა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელი. დღეისათვის რესპუბლიკაში 9 გახანგრძლივებული დღის სკოლაა (1978 წ. — 3) 5559 მოსწავლით, მათ შორის ქ. თბილისში 6 — 4770 მოსწავლით, ზუგდიდის რაიონში — 2 — 587 მოსწავლით, ქობულეთის რაიონში 1 — 202 მოსწავლით. 1321 სკოლაში (1259—1978 წ.) გახსნილია 3607 ჯგუფი (3376—1978 წ.), სადაც ირიცხება 103400 მოსწავლე (97397—1978 წ.), რაც შეადგენს I-VIII კლასების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 14,2%. გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულებულია 108,5%.

ზუგდიდის რაიონში განახგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ორგანიზაციისა და მუშაობის საკითხი საყოველთაო სახალხო მოძრაობად არის ქცეული. რაიონში გახსნილია 2 გახანგრძლივებული დღის სკოლა სოფლებში კახათსა და ინგირში (587 მოსწავლით) და 69 ჯგუფი 27 სკოლაში (2100 მოსწავლით). გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა რაიონში, ძირითადად, კოლმეურნეობებმა იკისრეს და ღირსეულად ართმევენ თავს ამ საპატიო საქმეს. სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის სკოლას შეფობას უწევს კ. მარქსის სახ. კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ჯ. გუგუჩია), რომელმაც ააგო და კეთილმოაწყო სკოლის სამსართულიანი შენობა. კოლმეურნეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზრახული აქვს სკოლის შენობას დაუმატოს: სააქტო დარბაზი, საძილე და გასართობი ოთახები, სათავსო შრომითი სწავლებისათვის. კოლმეურნეობას ორჯერად უფასო კვებაზე ყავს ამ სკოლის ყველა 348 მოსწავლე. სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — ბ. ქარჩავა) სამსართულიანი ტიპური შენობა აუგო ამ სოფლის საშუალო სკოლას, რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს გახანგრძლივებული დღის სკოლად გადაკეთდა. ამჟამად კოლმეურნეობა აწარმოებს 9 საკლასო ოთახის მიშენებისა და 200-ადგილიანი სასადილოს მშენებლობის, ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებს; სრულ ორჯერად კვებაზე ყავს 247 მოსწავლე, შეძენილი აქვს მაგარი და რბილი ინვენტარი 80 ბავშვის დასაძინებლად, გარდა ამისა, სპორტული მოედნების მოსაწყობად სკოლას გამოუყო 5 ჰა ფართობი. დიდი მუშაობა წარმოებს სოფელ რუხის საშუალო სკოლასთან. დაწყებულია 14 ოთახის მიშენება, რაც მომავალი სასწავლო წლისათვის დამთავრდება და იგი გახანგრძლივებულ დღის სკოლად გადაკეთდება. დაკომპლექტდება 14 ჯგუფი 436 აღსაზრდელით; კოლმეურნეობას უკვე დაგეგმილი აქვს საჭირო თანხები საძილე ოთახებისა და კაბინეტების ინვენტარ-მოწყობილობების მთლიანად აღჭურვისათვის. ამჟამად სკოლასთან გახსნილია 5 გახანგრძლივებული დღის ჯგუფი, ბავშვთა კვების ხარჯებს მთლიანად სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველო" იხდის (თავმჯდომარე — ზ. თოდუა). გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ბავშვთა კვების თანხების სრული ანაზღაურება თავიანთ საწარმოო-საფინანსო გეგმებში გათვალისწინებული აქვთ, აგრეთვე, სოფლების დარჩელისა და ტყაისის კოლმეურნეობებს. რაიონის გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში საჭირო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზაციას, კეთილმოწყობილია სპორტული მოედნები და ჩამოყალიბებულია ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის წრეები, ქორეოგრაფიული ანსამბლები და სიმღერის გუნდები, ნორჩ მეყვავილეთა, მკითხველთა წრეები, სანიტარული ჯგუფები და სხვ. მაგალითად სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი ე. ნადარეიშვილი) და სიმღერის გუნდმა (ხელმძღვანელი ე. შენგელია), რომლებშიც 156 ბავშვია გაერთიანებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასულ წელს ჩატარებულ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ოქროს მედლები და სიგელები დაიმსახურეს. ეს ანსამბლები, როგორც თავიანთი კოლმეურნეობების, ასევე ახლომდებარე რაიონების წინაშეც გამოდიან კონცერტებით. სკოლასთან შექმნილია, აგრეთვე, მუსიკალური სტუდია, რომელიც 102 ბავშვს აერთიანებს. სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებენ გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების აღმზრდელთა მუშაობაზე და სხვ.

რესპუბლიკაში ამ მიმართებით გატარებული ღონისძიებებისა და რიგი წარმატებების მიუხედავად აღინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები. მოსაწესრიგებელია გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელის რაციონალური განლაგების საკითხი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, გაიზარდა მათი რიცხვი, მათში გაერთიანებულ მოსწავლეთა რაოდენობა, მაგრამ არის რაიონები, სადაც არც ერთი გახანგრძლივებული დღის ჯგუფი არ არის გახსნილი (ადიგენი, ბოგდანოვკა, ყაზბეგი, ქარელი, ახალციხე), ან არსებული ჯგუფები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მაგალითად, ახალქალაქის რაიონში მხოლოდ ერთ სკოლაში და ისიც ქალაქად არის გახსნილი 2 ჯგუფი 60 მოსწავლით, დიდი მოთხოვნაა გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებზე ქ. ჭიათურასა და ზესტაფონის რაიონში.

ძალზე სუსტია არსებული გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების სასწავლო-მატერიალური ბაზა. თითქმის არც ერთ სკოლაში აღსაზრდელთათვის არაა შექმნილი დღის ძილის, დასვენებისა და გართობის ნორმალური პირობები. მოსწავლეები, ძირითადად, და, განსაკუთრებით, უამინდობის ჟამს მერხებს უსხედან, საგაკვეთილო გარემოში ყოფნა უწევთ მთელი დღის განმავლობაში. ეს მდგომარეობა უმთავრესად თუ ობიექტური პირობებიდან — სასკოლო შენობის სივიწროვით აიხსნება, ზოგან თვით სკოლის ხელმძღვანელთა უგერგილობის, უყურადღებობის, ამ საქმისადმი ნაკლები პასუხისმგებლობის შედეგია. მაგალითად, სოფელ ყვარლის ი. ჭავჭავაძის სახელობის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ხვთისიაშვილი) სრულყოფილად, რაციონალურად არ არის გამოყენებული არსებული შესაძლებლობანი: გახანგრძლივებული დღის ჯგუ-

ფების აღსაზრდელები ვერ სარგებლობენ სასწავლო კაბინეტებით და ლაბორატორიებით, სახელოსნოებით, ფიზკულტურის დარბაზითა და ბიბლიოთეკით, ვინაიდან მათ გაკვეთილების დამთავრებისთანავე კეტავენ. აქ ჯგუფებისათვის შეიძლებოდა გამოეყენებინათ სკოლის ვრცელი ნახევრადსარდაფიც, თუ კი მას კეთილმოაწყობდნენ და აღჭურვავდნენ საჭირო ინვენტარით, მასალებით, მაგრამ ამას არავინ ყურადღებას არ აქცევს.

კვლავ მოუგვარებელი რჩება მოსწავლეთა კვების საკითხი. შემოწმებულ ქალაქებსა და რაიონებში არსად (გარდა ზუგდიდის რაიონისა) არ არის ორგანიზებული მოსწავლეთა ორჯერადი კვება. წალკის, მარნეულის, ხაშურისა და სხვ. რაიონების სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ბავშვები სადილად ან სახლში მიდიან, ან თვით სკოლაში მხოლოდ პურს, ან რაღაც შემთხვევით საკვებს ღებულობენ. ხაშურის რაიონის სოფელ გომის საშუალო სკოლაში სასადილოს მოუწყობლობის გამო არ მუშაობდნენ გახანგრძლივებული დღის ჯგუფები 60 მოსწავლით. წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვრის 1-ლ საშუალო სკოლაში, შემოწმების პერიოდში ბუფეტი დაკეტილი იყო. წალკის რაიონის ბევრ სკოლაში საერთოდ არ არის სასადილო, ხოლო სადაც არის, პროდუქტებით ცუდად უზრუნველყოფილია. ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია პროდუქტებით მომარაგებაში. აღსაზრდელებს იშვიათად ეძლევათ ხორცი, ბოსტნეული, რძის ნაწარმი, ხილი. ამიტომ, კვება ერთფეროვანია. ბავშვებს, ძირითადად, უხორცო წვნიანსა და ბურღულის ფაფას აძლევენ. მოუგვარებელია ტრანსპორტის საქმეც. სკოლებს, ხშირად, თვითონ უხდებათ პროდუქტების, სადილების მოტანა-მოზიდვა. ამ მიზეზით მოსწავლეები ზოგჯერ უსადილოდ რჩებიან. მაგალითად, ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საშუალო სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფების 172 აღსაზრდელს 20-დან 26 იანვრამდე სასადილოთი არ უსარგებლია, რადგან ამ პერიოდში ვერ მოხერხდა პურის მიწოდება. გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღსაზრდელთა კვებისათვის ჯერ კიდევ სრულად არ იყენებენ საყოველთაო სწავლების ფონდს და სკოლის ნაკვეთიდან, დამხმარე მეურნეობიდან მიღებულ მოსავალს.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების სკოლებში ერთფეროვანია გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელთა ნახევარწლიური და ყოველდღიური სამუშაო გეგმები. ასევე ერთფეროვნად ტარდება მუშაობაც. ძირითადად გამოყენებულია სიტყვიერი მეთოდები — საუბრები და წიგნების კითხვა. ნაკლები ყურადღება ექცევა იმას, რომ გახანგრძლივებული დღე იქცეს პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მოქმედების, მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარების, მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის, დამოუკიდებლობის, შრომისმოყვარეობის აღზრდის აქტიურ უბნად. მოუგვარებელია წრეობრივი და სპორტული სექციების საქმიანობა. სწორედ ამითაა განპირობებული ჯგუფებში მოსწავლეთა ცუდი დასწრება, რაც საშუალოდ 60-70% შეადგენს. მაგალითად, ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. მაჭარაშვილი) გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში მოშლილია მეურნეობა, უაღრესად დაბალია მოსწავლეთა აღზრდილობის დონე, მათში არაა გამომუშავებული სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, მისი დაცვისა და გაფრთხილების ელემენტარული ჩვევები. დაზიანებულია საკლასო ოთახის კედლები, ინვენტარი, ყველაფერი აჭრელებულია წარწერებითა და ნახაზებით. სკოლის ხელმძღვანელები, ორგანიზატორი, პიონერხელმძღვანელი არ იცნობენ გახანგრძლივებული დღის ჯგუფის დებულებას, არ იჩენენ მომთხოვნელობას აღმზრდელის მიმართ, ჯგუფის მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. სწორედ ამიტომ სასწავლო წლის დასაწყისში ჯგუფში ჩარიცხული 40 ბავშვიდან თებერვლის თვეში დარჩენილი იყო 29, შემოწმებისას ესწრებოდა 18. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა შემოწმებული რაიონების სკოლებში.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია თვითმმართველობის ჩატარებასა და ორგანიზაციაში. იგი დაბალ მეთოდურ დონეზე, როგორც დამატებითი მეცადინეობა ისე, ტარდება; აღმზრდელები ნაკლებად ზრუნავენ ბავშვებში დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, არ ასწავლიან მოსწავლეებს საცნობარო, დამხმარე

ლიტერატურით სარგებლობას. ცოტა რამ კეთდება სასკოლო ბიბლიოთეკების მიზნობრივად გამოყენების თვალსაზრისით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალ დონეზე ხორციელდება აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება. სკოლებს შტატით ექიმი არა ყავთ, ექთნები კი ყოველთვის ღრმად ვერ სწვდებიან იმ საკითხებს, რასაც ბავშვთა სამედიცინო მომსახურება მოიცავს.

როგორც შემოწმების შედეგებიდან ჩანს, რესპუბლიკის სკოლების გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში არსებული ნაკლოვანებები და დარღვევები გამოწვეულია იმით, რომ სკოლების ხელმძღვანელები ჯეროვნად ვერ აფასებენ მათ მნიშვნელობას, სუსტად ერკვევიან მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში, არ იცნობენ საჭირო ნორმატულ დოკუმენტებს, აღმზრდელთა მუშაობაზე არ ახორციელებენ ხელმძღვანელობასა და კონტროლს.

სუსტია კონტროლი და დახმარება გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სკოლების საქმიანობისადმი სახალხო განთალების ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან.

დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ აღმზრდელთა შერჩევა ხდება სათანადო ცოდნის, უნარ-ჩვევების გაუთვალისწინებლად, ზოგ შემთხვევაში ამ თანამდებობაზე ნიშნავენ სამუშაოზე „მოწყობის“ ან „საათების შევსების“ მიზნით დაინტერესებულ პირებს.

სკოლების სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთობლივი 1980 წლის 27 მარტის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-5 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-6 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

7470

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-5 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსწავლეთა შორის შემოქმედებითი ფანტაზიის სტიმულირებას, შრომითი ჩვევების დანერგვას და ამ საქმით დაინტერესებულ ნორჩ კონსტრუქტორთა გამოვლინებას. გასულ წლებთან შედარებით წარმოდგენილი ექსპონატები გამოირჩეოდნენ ღრმა შინაარსით, ორიგინალობით და შესრულების ტექნიკით.

მე-5 რესპუბლიკური კონკურსის შემაჯამებელ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის 54 ქალაქის 178 ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლის 677 სათამაშო და სახალისო ხელსაწყო.

კონკურსზე წარმოდგენილი ექსპონატებიდან მოწონება დაიმსახურეს: თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, გორის, მახარაძის, ჩოხატაურის, ტყიბულის, ზუგდიდის, ხობის, ლანჩხუთის, ხარაგაულის, გარდაბნის, ადიგენის სკოლების, ქუთაისის, ტყიბულის, გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების ხელმარჯვე წრის წევრების ნამუშევრებმა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რიგი რაიონის განათლების განყოფილებები და კომკავშირის რაიონული კომიტეტები მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ თვითნაკეთი სათამაშოების მე-5 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებას, რის გამოც კონკურსში არ მიუღიათ მონაწილეობა აბაშის, ცხაკაიის, ცაგერის, გუდაუთის,

ვ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბ

სოხუმის, გულრიფშის, ქედის, ლენტეხის, მესტიის, რუსთავის, წითელწყაროსა და ლენინგორის რაიონების სკოლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. მე-5 რესპუბლიკურ კონკურსში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებით დაჯილდოვდეს 93 მოსწავლე, 7 მასწავლებელი და 11 კოლექტივი (დანართი № 1).

2. დამტკიცდეს მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-6 რესპუბლიკური კონკურსის დებულება (დანართი № 2).

3. კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი № 3).

4. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად: 1. ზონალური, 2. რესპუბლიკური. ზონალური კონკურსი ჩატარდეს 1980 წლის აპრილიდან 1980 წლის ნოემბრამდე, ხოლო რესპუბლიკური შემაჯამებელი გამოფენა-შეკრება 1981 წლის თებერვალში ქ. თბილისში და მისი ჩატარების ორგანიზაცია დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

5 .რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა და კომკავშირის შესაბამისმა რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა უზრუნველყონ აღნიშნული ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარება, რისთვისაც:

ა) კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებისათვის ადგილებზე ზონების ცენტრებში შექმნან ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებშიც შეყვანილი იქნებიან ზონის ცენტრის წარმომადგენელი (თავმჯდომარე) და ზონაში შემავალი ქალაქებისა და რაიონების თითო წარმომადგენელი (განათლების ან კომკავშირის ადგილობრივი ორგანოებიდან). ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობის შესახებ აცნობონ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს 1980 წლის აპრილამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ზონალურმა საორგანიზაციო კომიტეტებმა მოაწყონ მოსწავლეთა თვინაკეთი სათამაშოების ზონალური შემაჯამებელი გამოფენა 1980 წლის ოქტომბერში და უზრუნველყონ შერჩეული ექსპონატების გადაგზავნა რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში 1980 წლის დეკემბერში.

7. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს:

ა) შექმნან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მოსწავლეთა თვინაკეთი სათამაშოების კონკურსის ხელშემწყობი კომისიები სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, მშობელთა კომიტეტებისა და საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით;

ბ) გაშალონ მოსამზადებელი მუშაობა და ყველა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებამდე დაიყვანონ კონკურსის ჩატარების პირობები.

8. დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს (ამხ. თ. ჟღენტი):

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები უზრუნველყოს მეთოდური მასალებით, ესკიზებითა და სათანადო ლიტერატურით;

ბ) რესპუბლიკის ზონებში ადგილზე დახმარების გაწევის მიზნით მიავლინოს სპეციალისტები.

9. დაევალოთ ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა დირექტორებს იზრუნონ გასართობების, სათამაშოების დასამზადებლად ოთახების, კუთხეების გამოყოფასა და მათთვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებით მომარაგებაზე.

10. გაზეთების: „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციებმა პერიოდულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოაქვეყნონ მასალები მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამშოებისა 5 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების მიმდინარეობის შესახებ.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. რ. ღარიბაშვილი) დააწესონ კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჟ. შარტავა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-5 რესპუბლიკურ კონკურსზე საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებით დაჯილდოებული კოლექტივების, პედაგოგთა და მოსწავლეთა

ს ი ა

I ხარისხის დიპლომით

კოლექტივები

1. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრე
2. თბილისის 66-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრე
3. თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის ხელგარჯილობის წრე
4. თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის ხელგარჯილობის წრე
5. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრე
6. თბილისის 110-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრე
7. თბილისის 119-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრე
8. თბილისის 138-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრე
9. ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა სახლის სათამაშოების დამზადების წრე
10. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის სათამშოების დამზადების წრე
11. ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლის მე-6 კლასის სათამაშოების დამზადების წრე

მასწავლებლები

1. არუთინოვი ა. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის შრომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი

2. ბაღათურია გ. — ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის ხელმძღვანელი
3. გრიგოლაშვილი ზ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
4. კალამვიცევი ვ. — თბილისის 83-ე საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
5. სიმონიანი ა. — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
6. კალანდაძე ა. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი
7. ტიური ვ. — თბილისის ოქტომბრის რაიონის პიონერთა სახლის შრომის მასწავლებელი

მოსწავლეები

1. ახვლედიანი მ. — ქუთაისის პიონერთა სასახლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
2. ალექსიძე დ. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
3. ბაკურაძე კ. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
4. ბულიევი ე. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
5. გიორგაძე ფ. — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
6. გულიევი ა. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
7. გრიგოლაშვილი კ. — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
8. გოშხოთელიანი კ. — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
9. ელეფთეროვი ვ. — თბილისის მე-19 საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
10. ზოსიაშვილი მ. — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. აფციაური .გ. — გორის მე-3 საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
12. გოლიშვილი ე. — გორის პიონერთა სახლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
13. თვალჭრელიძე თ. — თბილისის 50-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
14. თავდუმაძე ქ. — თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
15. კერესელიძე გ. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
16. კიკალიშვილი კ. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
17. ლომიძე ქ. — თბილისის 119-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
18. ლიპარტელიანი შ. — თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
19. მეფარიშვილი მ. — ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
20. მიხაილოვი მ. — თბილისის 119-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
21. მოისწრაფიშვილი თ. — სოფელ მერიის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
22. ონიანი გ. — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
23. რომანოვი თ. — თბილისის 119-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
24. საღარიძე ბ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
25. სტეპანოვი ა. — თბილისის 119-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
26. ფოსური ო. — გორის პიონერთა სახლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
27. ქინქლაძე ზ. — სოფელ თხინვალის რვაწლიანი სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. ხორბალაძე წ. — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
29. შულგინი ო. — თბილისის 83-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
30. ჩუბინიძე მ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
31. ჯანიაშვილი გ. — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
32. ცინცაძე მ. — თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
33. ჭუბაბრია მ. — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

II ხარისხის დიპლომებით

მოსწავლეები

1. ანიაშვილი გ. — გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
2. ანდრეევი ი. — თბილისის 148-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
3. ახმედოვა თ. — თბილისის 121-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
4. აბულაძე გ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
5. ბარათელი ი. — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
6. ბელოუსოვი ა. — თბილისის 83-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
7. ბალავაძე ზ. — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
8. ბატურინა ვ. — თბილისის 65-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
9. გორგოშიძე შ. — მახარაძის 1-ლი საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
10. გველესიანი ლ. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
11. გრიგორიანი ა. — თბილისის ოქტომბრის რაიონის პიონერთა სახლის სათამაშოების წრის წევრი
12. დევიძე გ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
13. დარჩიაშვილი გ. — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
14. ევდოკიმოვა ი. — თბილისის 121-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
15. ვართანოვი ს. — თბილისის ოქტომბრის რაიონის პიონერთა სახლის ხელგარჯილობის წრის წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. ზოსიაშვილი ა. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
17. კახიძე გ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
18. ივანოვა ე. — თბილისის 121-ე საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე
19. კიკვიძე მ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
20. კოპალეიშვილი ი. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
21. ჯანგიანი ლ. — ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
22. კაჭარავა ნ. — თბილისის 66-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე
23. კულიევი ჩ. — თბილისის 119-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
24. კიკალიშვილი ი. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
25. კობალავა ზ. — სოფელ ნაგომარის საშუალო სკოლის მოსწავლე
26. კუტუბიძე გ. — სოფელ ნაგომარის საშუალო სკოლის მოსწავლე
27. მინაძე ე. — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
28. მეზიროვი კ. — თბილისის 119-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
29. მაჭავარიანი გ. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე
30. ნაბაცტეველი ვ. — თბილისის 33-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
31. ობაევი ა. — თბილისის 119-ე საშუალო სკოლის სათამაშოების წრის წევრი
32. ტოკარევა ტ. — თბილისის 67-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. უზუნალოვი ი. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
34. ფირცხალაიშვილი ი. — მახარაძის რაიონის სოფელ ლაითურის საშუალო სკოლის სათამაშოების დამზადების წრის წევრი
35. ქორქია კ. — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
36. ხარებოვი ქ. — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
37. ჩხენკელი ი. — ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
38. ჩხენკელი ე. — ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
39. ჩერნომაშენცევა ტ. — თბილისის 121-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III ხარისხის დიპლომით

მოსწავლეები

1. არუთინოვი ა. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე
2. ბენდერი ტ. — თბილისის 56-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
3. ბაბენკო ვ. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე
4. დათუაშვილი დ. — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
5. კარევსკი ა. — თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე
6. კოლცოვა ვ. — თბილისის 121-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
7. კოჟარა ო. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
8. ლაქტიონოვი ა. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
9. ლისიანი ი. — თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
10. მანაშეროვი ვ. — თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
11. მერაბიანი ა. — თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
12. ნერსესიანი მ. — თბილისის 121-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
13. ვართანიანი რ. — თბილისის 56-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
14. ნაზაროვი გ. — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
15. ნამოევი თ. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
16. ნიკოლაიშვილი ზ. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
17. ნატეკინა ვ. — თბილისის 76-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
18. იაკოვლევი ა. — თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
19. სანებლიძე დ. — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
20. ტურაშვილი ჯ. — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მოსწავლე
21. ჩობანიანი მ. — თბილისის 124-ე საშუალო სკოლის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

1. ლომიძე ზურაბ — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
2. წიკლაური მერი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
3. ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
4. ღარიბაშვილი რობერტ — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე
5. აბდუშელიშვილი გუგული — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს უფროსი
6. გოდერძიშვილი ნოდარ — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
7. ამონაშვილი შალვა — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ლაბორატორიის გამგე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
8. კობიაშვილი ეთერ — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პოლიტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე
9. საღარაძე ციალა — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გასართობებისა და სათამაშოების კაბინეტის გამგე
10. გაბელია თამარ — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური ცენტრის ბავშვთა სათამაშოების სექტორის გამგე

11. გოგილაშვილი თამაზ — გაერთიანება „სიხარულის“ გენერალური დირექტორი

12. გეწაძე ჯ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების რესპუბლიკური კონკურსის დებულება

მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-6 რესპუბლიკურ კონკურსს ატარებს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო სკოლის მოსწავლეებს, პიონერულ რგოლებს, რაზმებს, რაზმეულებს, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელებს, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურებს, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებსა და სასახლეებს, პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკებს, პიონერთა რესპუბლიკურ, საქალაქო და რაიონულ ბანაკებს. ნამუშევრების წარმოდგენა შეიძლება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური წესით. კონკურსის მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი ფანტაზიის სტიმულირება, შრომითი ჩვევების დანერგვა, ტექნიკური გამოცდილებისადმი ინტერესის გაღვივება, ნორჩი ავტორებისა და კონსტრუქტორების გამოვლინება, მხატვრული და ესთეტიკური გემოვნების განვითარება. ბავშვის მიერ ახალი, საინტერესო ტექნიკური სათამაშოების ამა თუ იმ საგნის სახალისო ფორმაში შესწავლა, კითხვა-პასუხის დღეების ჩატარება და შერჩეული სათამაშოების გამოყენებით საინტერესო გართობა-თამაშის კვირეულის ჩატარება.

კონკურსის ორგანიზაცია

კონკურსი ტარდება ორ ეტაპად: 1-ლი ზონალური, მე-2 რესპუბლიკური. კონკურსის ორგანიზაციისათვის რესპუბლიკის ქალაქები და რაიონები დაყოფილია 10 ზონად.

I ზონა: ქ. სოხუმი (ცენტრი), გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის, სოხუმისა და გალის რაიონები.

II ზონა: ცხაკაიის (ცენტრი), ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, ფოთის, გეგეჭკორის, აბაშის, მესტიის რაიონები და ქ. ზუგდიდი.

III ზონა: ქ. ქუთაისი (ცენტრი) ვანის, სამტრედიის, წყალტუბოს, ამბროლაურის, ონის, მაიაკოვსკის, ტყიბულის, ლენტეხის, ცაგერის, თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონები.

IV ზონა: ქ. ბათუმი (ცენტრი), ხულოს, შუახევის, ქედის, ქობულეთის, მახარაძის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონები.

V ზონა: ქ. ცხინვალი (ცენტრი), ჯავის, ცხინვალის, ზნაურისა და ლენინგორის რაიონები.

VI ზონა: ქ. ხაშური (ცენტრი), ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ორჯონიკიძის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონები.

VII ზონა: მცხეთის (ცენტრი), ქარელის, გორის, კასპის, თიანეთის, ყაზბეგის, დუშეთის რაიონები და ქ. გორი.

VIII ზონა: ყვარლის (ცენტრი), ახმეტის, თელავის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონები.

IX ზონა: ქ. რუსთავი (ცენტრი), გარდაბნის, ბოგდანოვკის, წალკის, თეთრიწყაროს, მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონები.

X ზონა: ქ. თბილისი.

ზონალური კონკურსი ჩატარდება 1980 წლის აპრილიდან 1980 წლის ნოემბრამდე. 1980 წლის ოქტომბერში ტარდება ზონალური გამოფენის დათვალიერება და შემაჯამებელი დღეები. 1980 წლის ნოემბერში გამოფენაზე შერჩეული ექსპონატებისა და ზონალური ღონისძიებების ანგარიში გამოიგზავნება თბილისში, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში 1981 წლის იანვრამდე.

1981 წლის თებერვალში მოეწყობა რესპუბლიკური შემაჯამებელი საზეიმო შეკრება.

კონკურსში გამარჯვებული ნორჩი ავტორები ყოველი ზონის სკოლებთან გამოძახებული იქნებიან შემაჯამებელ შეკრებაზე. გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით, შორეული ექსკურსიების საგზურებით, ფასიანი საჩუქრებით, საკავშირო პიონერული ბანაკის „არტეკისა“ და რესპუბლიკის პიონერთა ბანაკების საგზურებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურსის თემატიკა

მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნას: ტექნიკური ხასიათის სათამაშოები, ზღაპრების, გამოცანების, იგავ-არაკებისა და სხვა ჟანრის მიხედვით შედგენილი თავსატეხები; ხალხური თამაშობებისა და გასართობების კრებულები თვალსაჩინო მასალებით, ჩვენი ქვეყნის ხალხთა კულტურული ცხოვრების ამსახველი გასართობები. გარდა ამისა, სახალისო ხელსაწყოები ფიზიკიდან, ქიმიიდან, მათემატიკიდან, გეოგრაფიიდან, გეოლოგიიდან, ისტორიიდან, ლიტერატურიდან, მშობლიური და უცხო ენებიდან, ზოოლოგიიდან, ხელოვნების სხვადასხვა დარგებიდან, აგრეთვე, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროდან სიუჟეტური თამაშობების ინვენტარი თემაზე „ჩემი სკოლა", „თოჯინების სამყარო", „ზოოპარკი", საბავშვო კალენდარი, სამხედრო ხასიათის სათამაშოები, პიონერული რაზმებისათვის ლამაზად გაფორმებული სათამაშოების კომპლექტები, ქართული ეთნოგრაფიული ხასიათის თოჯინები და სხვა.

თემატიკის შესაბამისად დამზადებული ორიგინალური სათამაშოები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს სამაგიდო თავსატეხის, სამაგიდო სპორტული ლოტოს და სხვა სახით. შესაძლებელია, აგრეთვე, წარმოდგენილი იყოს ორიგინალური სათამაშოების პროექტი ნახაზის ან მაკეტის სახით.

ნორჩმა ავტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ელექტროფიცირებული, მექანიზებული კიბერნეტიკული სათამაშო-გასართობების დამზადებას.

დასაშვებია, აგრეთვე, არსებული სათამაშოების დუბლირება. სათამაშო უნდა იყოს ლამაზად, სუფთად გაკეთებული, გამძლე და გამოსაყენებლად მოხერხებული.

ყოველ ექსპონატს უნდა ახლდეს გამოყენების წესი და სამუშაო ნახაზი. ექსპონატები შეიძლება დამზადდეს: ხის, ლითონის, მუყაოს, პლასტმასისა და სხვა მასალებისაგან.

თემატიკა საორიენტაციოა, იგი არ იზღუდება კონკურსის მონაწილეთა ნებასურვილით და ფანტაზიით.

ყოველ ნაშრომზე უნდა იყოს მიწერილი ნორჩი ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, ზუსტი მისამართი — რაიონის, სოფლის, სკოლის ჩვენებით, თარიღი და აგრეთვე, ხელმძღვანელის გვარი, სახელი და მამის სახელი ხელის მოწერით.

შენიშვნა: ექსპონატები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: თბილისი, 360018, რუსთაველის გამზირი № 8, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გასართობებისა და სათამაშოების კაბინეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

1980 წლის 3 აპრილის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის დადგენილების შესრულების საქმეში ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, გარდაბნის, ლაგოდეხის, ონის, სამტრედიის, ცაგერის, წალკის, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონების და სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილებათა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ გაწეული მუშაობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის № 1029, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 126 დადგენილებები „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადაყვანის შესახებ“ ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს და დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სახალხო განათლების ორგანოებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით დროულად და სრულად უზრუნველყოფის საქმეში.

დღეისათვის, რესპუბლიკის ყველა ტიპის სკოლებში (ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური) სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადასულია 0, I, II, III კლასების მოსწავლეები; შემუშავდა და რესპუბლიკის ყველა სკოლას 1978 წლის 8 აგვისტოს № 522 ბრძანებასთან ერთად დაეგზავნა ინსტრუქცია „სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების, მათი სარგებლობის წესისა და ლიტერატურის დაცვის ღონისძიებათა შესახებ“; მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა თავისი კურსებისა და სემინარების სასწავლო გეგმებში, ყველა კატეგორიის მსმენელთათვის, გაითვალისწინა ლექციები სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლებისა და მისი გამოყენება-შენახვის საკითხებზე; საქართველოს სსრ პედაგოგიურმა საზოგადოებამ ი. გოგებაშვილის

სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავა ლექციების თემატიკა მშობლებისათვის, რომელიც, თავის მხრივ, მოზარდში წიგნის მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩანერგვისა და სრულყოფილი აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა; ყოველი წლის აპრილ--მაისში ტარდება რესპუბლიკური თათბირ-სემინარები მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის ახალი სისტემის შესახებ, რომელსაც ესწრებიან საბიბლიოთეკო ფონდებზე მომუშავე მეთოდისტები, სკოლის ბიბლიოთეკარები, საქწიგნისა და ცეკავშირის პასუხისმგებელი მუშაკები.

1979 წლის ნოემბერ-დეკემბერში განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველოს მუშაკებმა შეისწავლეს ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, გარდაბნის, ლაგოდეხის, ონის, სამტრედიის, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ცაგერის, წალკის, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ გაწეული მუშაობა ზემოდასახელებულ დადგენილებათა შესრულების საქმეში. შემოწმების მიზანი იყო სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, სკოლების ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობის დადებითი გამოცდილების გაცნობა, არსებული ნაკლოვანებების შესწავლა-გამოვლენა, გამომწვევი მიზეზების ანალიზი, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გაწევა.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზემოაღნიშნული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების უმრავლესობამ სერიოზული მუშაობა ჩაატარა პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა რეალიზაციისათვის, მისი პოლიტიკური, სოციალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობის განმარტებისათვის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა შორის. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ქალაქებისა და რაიონების „საქწიგნისა“ და „ცეკავშირის“ წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციები. რაიონების უმრავლესობაში დადგენილება და ინსტრუქცია განხილულ იქნა სკოლის ხელმძღვანელთა თათბირებზე, პედსაბჭოს სხდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებზე: ღია პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე, პიონერულ შეკრებებსა და მშობელთა კრებებზე. გულისყურითა და სერიოზულობით მოეკიდნენ ამ საქმეს ლაგოდეხის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ახალციხის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები: მოსწავლეები და მშობლები მაქსიმალურად არიან ინფორმირებულნი საბელმძღვანელოებით სარგებლობის ახალი წესის შესახებ, სკოლის ადმინისტრაციის, კლასის ხელმძღვანელების, პიონერხელმძღვანელებისა და ბიბლიოთეკარების სამუშაო გეგმებში შეტანილია ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სასკოლო სახელმძღვანელოს მოვლა-გაფრთხილებასთან, უნერგავს მოსწავლეს წიგნისადმი პატივისცემის გრძნობას; მოუწოდებს, რომ წიგნია მისი შემწე და დამხმარე ცხოვრებისეული რთული სიტუაციების ანალიზის დროს, უღვივებს ინტერესს კითხვისადმი, ანიჭებს წიგნს დამრიგებლისა და მრჩევლის როლს. სკოლებში აქტიურად მოქმედებენ წიგნის მეგობართა საბჭოები, შტაბები, კლუბები, რომლებიც ატარებენ ოპერაციას „იცოცხლე წიგნო!". ტარდება სახელმძღვანელოების დათვალიერება, რეიდები წიგნის მდგომარეობის შესამოწმებლად. მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები ატარებენ საუბრებს თემებზე: „როგორ აკეთებენ წიგნს", „რა ღირს სახელმძღვანელო"; ეწყობა წიგნისა და ე. წ. „ხანდაზმული" წიგნების გამოფენები დევიზით: „ყველაზე სუფთად მოვლილი სახელმძღვანელო", „როგორ არ უნდა ვექცეოდეთ წიგნს — ცხოვრების წყაროს", „რას მოგვითხრობდა წიგნი, ლაპარაკი რომ შეძლოს", „რას მოგვითხრობენ წიგნის მოთხვრილ-დაჯღაბნილი გვერდები" და ა. შ.

მიმდინარეობს ნახმარი სახელმძღვანელოების შეგროვება და მათი შეკეთება ხელმეორედ გამოსაყენებლად, ვარგისი სახელმძღვანელოების ინვენტარიზაცია და მათი განლაგება სპეციალურად გამოყოფილ სტელაჟებზე. შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში შექმნილია „წიგნის საავადმყოფოები", „წიგნის დამხმარე ეკიპაჟები", საამკინძაო წრეები, საბიბლიოთეკო აქტივები.

ყველა ეს ღონისძიება დადებითად მოქმედებს რაიონის სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენას ახდენს სასწავლო წიგნის ხმარების ვადის ხანგრძლივობაზე.

ამავე დროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ შემოწმებული რაიონების სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების მიერ გაწეული მუშაობა სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების საქმეში ხასიათდება მთელი რიგი ნაკლოვანებებით.

სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლის ხელმძღვანელთა ერთმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო როგორც დადგენილების, ასევე ინსტრუქციის განხილვა-გაცნობა განათლების საბჭოს სხდომებზე, სკოლის პედაგოგიურ საბჭოებზე, მათი სოციალ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობის დაყვანა თითოეული სკოლის პედკოლექტივამდე, თითოეულ მოსწავლემდე, მათ მშობლებამდე. ასე მაგალითად, ახალქალაქის, ონის, გარდაბნის, სამტრედიის, წალკისა და თბილისის ოქტომბრის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს არ განუხილავთ აღნიშნული დადგენილება და არ დაუსახავთ სათანადო კონკრეტული ღონისძიებანი მისი რეალიზაციისათვის. ინსტრუქციით გათვალისწინებული მუხლების დარღვევის ლოგიკური შედეგია ის, რომ ამ რაიონებში ადგილი ქონდა ფონდირებული სახელმძღვანელოების გაყიდვის ფაქტებს, რითაც უხეშად დაირღვა სსრკ კონსტიტუციის 45-ე და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 43-ე მუხლები ამ კლასების მოსწავლეთა უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ განათლების განყოფილებებს მიღებული აქვთ სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების სააღრიცხვო ჟურნალები, საკატალოგო ბარათები, სკოლების მიერ არ ხდება მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება, სახელმძღვანელოები არაა დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით, არა აქვთ დასმული თეგი, არ ხდება მათი ინვენტარიზაცია. მთელ რიგ სკოლებში ფონდირებული სახელმძღვანელოები მწყობრიდანაა გამოსული, იგრძნობა სახელმძღვანელოების სიმცირე.

რიგი რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ინერტულობისა და უგულისყურობის შედეგად სკოლებმა დაკარგეს „მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის“ სერიით გამოცემული უნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალური წიგნები, რომლებიც კერძო პირებზე გაიყიდა (სამტრედია, ახალქალაქი, ამბროლაური, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონი).

ყოვლად შეუწყნარებელია ამ მიმართებით ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მიერ ჩატარებული მუშაობა (ამხ. შ. გორგოძე). რაიონში სუფევს უკონტროლობის ატმოსფერო. სკოლებში დანერგილია სახელმძღვანელოების მიღებისა და განაწილების არასწორი წესი. შემოწმების დღეს თითქმის არც ერთ სკოლაში აღრიცხვაზე არ იყო აყვანილი ფონდირებული სახელმძღვანელოები (I-II-III კლასები); უმეტესი სკოლების დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის სამუშაო გეგმაში ვერ შევხვდით საკითხებს მოსწავლეებში სახელმძღვანელო წიგნის მიმართ მზრუნველი, სათუთი, ფაქიზი დამოკიდებულების შესახებ. სკოლებში წიგნები მოუვლელია, ფურცლებამოცვენილი. პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები არ ხელმძღვანელობენ შიდასასკოლო კონკურსების, წიგნის გამოფენების ჩატარებას. არც ერთი სკოლის ბიბლიოთეკასთან არ მოქმედებს დაზიანებული წიგნების შემკეთებელი „დამხმარე ეკიპაჟები" მოსწავლეთა აქტივიდან. რაიონის განათლების განყოფილებამ დღემდე ვერ მოახერხა საბიბლიოთეკო ფონდებზე მომუშავე მეთოდისტის დანიშვნა. სკოლების უმრავლესობას მეთოდკაბინეტის მიერ არასწორი და არაზუსტი განაწილების შედეგად დაეკარგა „მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის" სერიის წიგნები, რომლებიც კერძოდ გაიყიდა. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ ქ. თბილისის განათლების სამმართველოს საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტი ამხ. ც. ნიქაბაძე სუსტად ხელმძღვანელობს უფასო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლებისა და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეს თბილისის სკოლებში. მას შეთავსებით აქვს ეს საქმე დავალებული და, ცხადია, თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აღნიშნული გადაწყვეტილება დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ცნობად და სახელმძღვანელოდ.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2.1. აღნიშნული გადაწყვეტილება და ცნობა განიხილონ სამინისტროს კოლეგიებზე, სახალხო განათლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2.2. საფუძვლიანად შეისწავლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის № 1029, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 126 დადგენილებათა განხორციელების მიმდინარეობა და საკითხი განსახილველად შეიტანონ პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების ბიუროებზე, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული აღმასკომების სხდომებზე და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ მოახსენონ განათლების სამინისტროს;

2.3. შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი და გაშალონ ფართო განმარტებითი მუშაობა მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შორის აღნიშნული დადგენილებების დიდი სოციალურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ;

2.4. აამაღლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელთა ორგანიზატორული მუშაობის დონე მოსწავლეთა შორის სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი, როგორც სახელმწიფო მონაპოვრისადმი, შეგნებული, მზრუნველი დამოკიდებულების აღზრდის მიზნით; გადაჭრით გააუმჯობესონ კონტროლის ეფექტურობა მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოების მოვლა-დაცვის მდგომარეობაზე;

2.5. განახორციელონ რესპუბლიკის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საბიბლიოთეკო ფონდში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოების მკაცრი აღრიცხვა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2.6. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი იმას, რომ სკოლებში უნარიანად და ქმედითად იქნას გამოყენებული კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობა მოსწავლეებში სასწავლო წიგნისადმი პასუხისმგებლური და შეგნებული დამოკიდებულების აღზრდისათვის. შეიმუშაონ, დახვეწონ და პრაქტიკაში დანერგონ მოსწავლეთა შემდგომი სტიმულირების ფორმები;

2.7. იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველწლიურად იზრდება ფონდირებული სახელმძღვანელოების რიცხვი, მათი უკეთ მოვლადაცვის მიზნით, დროულად იზრუნონ სათანდო ფართის გამოყოფაზე, სკოლის ბიბლიოთეკიდან განცალკევებით;

2.8. მიაღწიონ იმას, რომ სკოლებში მაქსიმალურად იქნას შეგროვილი და ზუსტად აღრიცხული ნახმარი, არაფონდირებული სახელმძღვანელოები;

2.9. შეუქმნან სათანადო სამუშაო პირობები სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტებს. აღნიშნული საშტატო ერთეულები გამოყენებულ იქნას მხოლოდ დანიშნულებისამებრ.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია):

3.1. უზრუნველყოს განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა კურსებზე უფასო • სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლებისა და დაცვის საკითხებზე ორი სალექციო საათის გამოყოფა.

4. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქტორებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, ა. გოგელია);

4.1. სისტემატურად მოათავსონ გაზეთსა და ჟურნალში რესპუბლიკის სკოლებში უფასო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლებისა და ლიტერატურის დაცვის ამსახველი მასალები; ამ საკითხთან დაკავშირებული მეთოდური მითითებანი და მოწინავე ბიბლიოთეკარის მუშაობის გამოცდილება.

5. სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლებისა და დაცვის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის სკოლის დირექტორებს ლ. კუხიანიძეს (ონის მე-2 საშუალო სკოლა), გ. ხომერიკს (თბილისის 36-ე საშუალო სკო-

ლა), მ. ნებიერიძეს (თბილისის მე-4 საშუალო სკოლა), ს. მელაძეს (თბილისის 29-ე საშუალო სკოლა), ე. ნემსიწვერიძეს (თბილისის 32-ე საშუალო სკოლა), გ. მუსაევს (გარდაბნის 1-ლი რუსული საშუალო სკოლა), გ. ანტონიანს (წალკის რაიონის სოფელ ნარდევანის სომხური საშუალო სკოლა), ნ. ჯიქიძეს (სამტრედიის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. კოპალეიშვილს (სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლა), თ. მიქაძეს (სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლა) და შ. გელაშვილს (ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაისუბნის საშუალო სკოლა), ა. საბუკასოვს (წალკის 1-ლი საშუალო სკოლა), გ. ჩამურლიევს (წალკის მე-2 საშუალო სკოლა), ა. კალაიჯიევს (წალკის მე-3 საშუალო სკოლა), რ. ისაევს (გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალის საშუალო სკოლა), ნ. ვანიევს (ლაგოდეხის რაიონის სოფელ არაშფერანის ოსურ-რუსული საშუალო სკოლა) და ა. ჰასანოვს (ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარაჯალის რვაწლიანი სკოლა) მიეცეს შენიშვნა.

6. სკოლების საქმიანობაზე არასათანადო ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, რამაც რაიონების რიგ სკოლებში უფასო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლებისა და ლიტერატურის დაცვის საქმეში გამოიწვია სერიოზული ნაკლოვანებანი ახალქალაქის, სამტრედიის, განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. ა. გაბრიელიანს, ლ. ძნელაძეს გამოეცხადოს საყვედური.

7. იმასთან დაკავშირებით, რომ წალკის, გარდაბნის, ამბროლაურისა და ონის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საფუძვლიანად ვერ უზრუნველყვეს უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლება და ინსტრუქციით გათვალისწინებული მუხლების სრულად განხორციელება, განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. რ. მელტონიანს, აკ. იმნაძეს, ს. ცირეკიძეს და დ. დგვარელს, გარდაბნის რაიონის საბიბლიოთეკო ფონდებიხ მეთოდისტს ამხ. მ. ჩადუნელს მიეცეთ შენიშვნა.

8. სამსახურებრივი მოვალეობისადმი უგულისყურო დამოკიდებულებისა და რაიონის რიგ სკოლებზე მეთოდური სამსახურის არადამაკმაყოფილებლად გაწევისათვის, რამაც განაპირობა სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი უფასო სახელმძღვანელოების საბიბ-

ლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების საქმეში ქ. თბილისის ორ ქ. ტომბრის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. შ. გორგოძეს და სამტრედიის რაიონის საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტს ამხ. კ. ფანცულაიას გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

9. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. ლ. ჩიქვანაია) უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტის დანიშვნა.

10. სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების რესპუბლიკურმა მეთოდკაბინეტმა (ამხ. დ. კაციტაძე):

10.1. უზრუნველყოს სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტებისათვის საჭირო მეთოდური დახმარების გაწევა; მათი კვალიფიკაციის ამაღლება მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ბაზაზე.

10.2. შეიმუშაოს და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებს დაუგზავნოს წესდება სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტების უფლება-მოვალეობის შესახებ ადგილებზე.

11. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სახელმძღვანელოების სამმართველოს (ამხ. ნ. ღლონტი).

12. კოლეგიის გადაწყვეტილება და სახელმძღვანელოების სამმართველოს ცნობა გამოქვეყნდეს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი **ო. დ. ჭინჭლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

უფასო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების საქმეში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ გაწეული მუშაობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ინსპექტირებული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ ჩატარებულია გარკვეული მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის № 1029 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 126 დადგენილებათა შესასრულებლად „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადაყვანის შესახებ“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ დადგენილებათა რეალიზაციის საქმეში სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად უშუალო და აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქალაქებისა და რაიონების „საქწიგნისა“ და „ცეკავშირის“ წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციები.

მიზანმიმართული და გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად სასწავლო წლის დასაწყისისათვის ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, გარდაბნის, ლაგოდეხის, ონის, სამტრედიის, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ცაგერის, წალკისა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონების თითქმის ყველა სკოლა უზრუნველყოფილი იყო სასკოლო სახელმძღვანელოებით და საჭირო მეთოდური ლიტერატურით.

ზემოხსენებული დადგენილებები, ძირითადად, განხილულია განათლების საბჭოს სხდომებზე და დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი დადგენილების ყველა მუხლის უკლებლივ და სწორად განხორციელების მიზნით. ამ საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებულია სკოლის დირექტორების თათბირები, პედსაბჭოს კრებები, მშობელთა გაერთიანებული, ღია პარტიული და კომკავშირული კრებები, პიონერული შეკრებები და ა. შ., რის შედეგადაც მას-

წავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები ინფორმირებულნი არიან სახელმძღვანელოებით სარგებლობის ახალი წესის შესახებ.

ასე მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. გ. ლობჟანიძე, მეთოდისტი ამხ. ც. ბუზალაძე). ჯერ განათლების საბჭოს სხდომაზე, ხოლო შემდგომ რაიონის სკოლის დირექტორების თათბირზე განიხილა დადგენილება „უფასო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების შესახებ“ და შეიმუშავა წინადადებანი მათი პრაქტიკაში დანერგვისათვის. რაიონის სკოლების პედსაბჭოს კრებებზე რეგულარულად იხილება უფასო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-დაცვის მიმდინარეობისადმი მიძღვნილი საკითხები. მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები სისტემატურად ატარებენ საუბრებს მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან ამ დადგენილებათა უდიდესი სასარგებლო მნიშვნელობის შესახებ; განუმარტავენ მათ, რომ სახელმძღვანელოებისაგან გამოთავისუფლებულ ქაღალდზე დაიბეჭდება მეტად საჭირო და აუცილებელი მეთოდური ლიტერატურა, კლასგარეშე საკითხავი წიგნები სხვადასხვა დისციპლინებში, მხატვრული ლიტერატურა. მოუწოდებენ მათ გაუხანგრძლივონ სახელმძღვანელო წიგნს სიცოცხლე, რამეთუ მისდამი მზრუნველი, სათუთი დამოკიდებულების სანაცვლოდ საჩუქრად მიიღებენ კარგ მრჩევლებს, მეგობრებს საინტერესო წიგნების სახით.

ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის ქართულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ამხ. ნ. ლობჟანიძე, ბიბლიოთეკარი ამხ. ე. მაისურაძე) მთელი სერიოზულობით და საქმის ცოდნით მოეკიდნენ უფასო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდის შექმნის საქმეს. სუფთად აქვთ შენახული სახელმძღვანელოები 1-ლ (მასწ. ამხ. ც. შუბითიძე), მე-2 (მასწ. ამხ. ტ. რეხვიაშვილი), მე-3 (მასწ. ამხ. გ. ლობჟანიძე) კლასებში.

ამ სკოლებში მოსწავლეთა წასახალისებლად ტარდება შეჯიბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება-კონკურსები, როგორც ცალკეულ კლასებში, ისე თვითონ მოსწავლეთა შორისაც.

სკოლის საერთო გეგმაში, სასწავლო ნაწილის გამგის, ორგანიზატორის, პიონერხელმძღვანელის, ბიბლიოთეკარისა და კლასის ხელმძღვანელთა გეგმებში შეტანილია ისეთი საკითხები, რომლებიც მოსწავლეში აამაღლებს წიგნისადმი მოკრძალებისა და პასუხისმგებლობის გრძნობას, განამტკიცებს მათში სახელმძღვანელოსადმი სიყვარულს.

სკოლაში ყველა ფონდირებული სახელმძღვანელო აღრიცხულია, დასმული აქვს ბიბლიოთეკის თეგი (შტემპელი), შედგენილია საკატალოგო ბარათები, ბიბლიოთეკასთან მუშაობს წიგნის ნორჩ შემკეთებელთა „საამქრო“ მოსწავლეთა თვითმმართველობიდან და პიონერული აქტივიდან.

ასევე კარგადაა უფასო სახელმძღვანელოების ფონდის შექმნის საქმე ლაგოდეხის რუსულ მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ამხ. რ. ლალიევი). კარგად მუშაობს ამ სკოლის ბიბლიოთეკარი ამხ. რ. ფოცხვერაშვილი, რომელიც სისტემატურად აკონტროლებს კლასებში სახელმძღვანელოთა მდგომარეობას. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული მოსწავლეთა წესდება სახელმძღვანელო წიგნის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით. კარგი მდგომარეობაა, აგრეთვე, ყაბალის აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ამხ. ა. ალიევი, ბიბლიოთეკარი ამხ. გ. მამედოვა).

დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა უფასო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მნიშვნელოვან საქმეს სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის სახალხო განათლების განყოფილება (გამგე ამხ. გ. ძაგოევი, მეთოდისტი ამხ. ფარასტაევა). დადგენილება და ინსტრუქცია განხილულია განათლების საბჭოს სხდომაზე. სკოლებში ჩატარებულია სამუშაოები დადგენილების შესასწავლად, მისი პოლიტიკური, სოციალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობის განსამარტავად მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის. ახალი სასწავლო წლისათვის მიღებული სახელმძღვანელოების განაწილება სკოლებზე მეთოდკაბინეტის მიერ მოხდა დროულად და პროპორციულად. რაიონის სკოლების ყველა მოსწავლე 100%-ით დაკმა-

ყოფილებულია არა მარტო ფონდირებული, არამედ ყველა კლასის სახელმძღვანელოებით. თითქმის ყველა სკოლაში მაღალ დონეზეა დაყენებული I-II-III კლასების სახელმძღვანელოების მოვლა-დაცვის საკითხი.

რაიონის ყველა პირველკლასელი საანბანო წიგნს „დედაენას“ იღებს საზეიმო ვითარებაში, საჩუქრად. განსაკუთრებული გამორჩევის ღირსია ცხინვალის მე-3 (ამხ. ყ. ბეთაევი) და მე-4 (ამხ. რ. ბაქარაძე) საშუალო სკოლები, ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთას რუსულ-ქართული (ამხ. მ. ბიკოევი), სოფელ კეხვის ქართული (ამხ. მ. მელანიშვილი), კ. ხეთაგუროვის სახელობის ჯავის (ამხ. გ. სანაკოევი) საშუალო სკოლები. ყველა შემოწმებული სკოლის პედპერსონალი კარგად იცნობს საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის ინსტრუქციას. ყველა სკოლაში აწარმოებენ საფონდო-სააღრიცხვო ჟურნალებს, საკატალოგო ბარათებს, ყველა ფონდირებულ წიგნს დასმული აქვს თეგი. სკოლაში დროულად ხდება ნახმარი სახელმძღვანელოების შეგროვება, სკოლის ბიბლიოთეკებთან ფუნქციონირებენ „წიგნის დამხმარე ეკიპაჟები“.

ასევე, სათანადო ასახვა ჰპოვა აღნიშნულმა დადგენილებამ და ინსტრუქციამ შემოწმებული რაიონების მთელი რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელთა და პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობაში. გამოირჩევა წალკის რაიონის კუშინის სომხური (ამხ. მ. ბალიანი), გარდაბნის რაიონის რუსული მე-2 (ამხ. ა. შესტოვა), ცაგერის რაიონის საშუალო (ამხ. ლ. სვანიძე), ლასურიაშის (ამხ. შ. ლარცულიანი), ქვემო ცაგერის (ამხ. გ. ბრეგვაძე), ონის რაიონის 1-ლი (ამხ. ი. კუხიანიძე), თბილისის ოქტომბრის რაიონის 23-ე (ამხ. რ. ნინუა), 37-ე საშუალო (ამხ. ლ. პუშკოვა) სკოლები.

ამასთან ერთად, შემოწმებული რაიონების სახალხო განათლების ორგანოების მიერ გაწეული მუშაობა უფასო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების საქმეში ხასიათდება მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებებით.

ასე მაგალითად: ახალქალაქის განათლების განყოფილებას (ამხ. ა. გაბრიელიანი) აღნიშნული დადგენილება და ინსტრუქცია არ გა-

ნუხილავს განათლების საბჭოს სხდომაზე და არ დაუსახავს რეალური ზაციისათვის სათანადო ღონისძიებანი. ასევე არ განხილულა დადგენილება-ინსტრუქცია პედსაბჭოს კრებებზე. სწორედ ამის გამო, როგორც გამგემ და სკოლის დირექტორებმა, ასევე მასწავლებლებმა არ იციან აუცილებელ საჭირო ღონისძიებათა შესახებ საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების საქმეში.

ამრიგად, განათლების სამინისტროს 1978 წლის 8 აგვისტოს № 522 ბრძანება, რომლითაც განათლების განყოფილებათა გამგეებს ევალებოდათ ზემოხსენებული ინსტრუქციის თითოეული სკოლის დირექტორამდე, მასწავლებლამდე და მოსწავლემდე დაყვანა, ახალქალაქის განათლების განყოფილების მიერ არ შესრულებულა.

ამის შედეგია ის ფაქტი, რომ ახალქალაქის რაიონის მე-2 და მე-3 კლასების მოსწავლეებს სახელმძღვანელოები ნაღდ ანგარიშზე მიეყიდათ, რითაც უხეშად დაირღვა სსრკ კონსტიტუციის 45-ე მუხლი. ამ კლასების მოსწავლეების მიერ სახელმძღვანელოების უფასოდ სარგებლობის შესახებ. როგორც შემოწმების მასალებიდან ირკვევა, ახალქალაქის სახალხო განათლების განყოფილება ან არ ეცნობა, ან ცუდად ეცნობა განათლების სამინისტროდან მიღებულ წერილებს. ასე მაგალითად, განათლების სამინისტროს 1977 წლის 22 აპრილის № 05-3-173 ცირკულარული წერილით, უფასო სახელმძღვანელოებით სარგებლობაზე უნდა გადასულიყვნენ რესპუბლიკის მხოლოდ სომხური სკოლების მოსწავლეები. ამხ. ა. გაბრიელიანის უყურადღებობის შედეგად, 1977 წელს უფასო სახელმძღვანელოები სომხური სკოლის მოსწავლეებთან ერთად მიეცათ ქართული და რუსული სკოლების მოსწავლეებსაც. განათლების განყოფილების ხარჯზე.

შემოწმებულ სკოლებში არ ხდება ფონდირებული სახელმძღვანელოების აღრიცხვა, უქმადაა საინვენტარო წიგნები, საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვის ჟურნალები და საკატალოგო ბარათები, სახელმძღვანელოებზე არაა დასმული თეგი, რომელიც მოსწავლეს მოაგონებს, რომ სახელმძღვანელო ბიბლიოთეკისაა და მას მეტი გაფრთხილება სჭირდება, როგორც სახელმწიფო საკუთრებას. სკოლებში არაა ფონდირებული სახელმძღვანელოების სავალდებუ-

ლო რეზერვი 5%-ის რაოდენობით. არ ხდება ნახმარი სახელმძღვანელოების აკრეფა. მათი ხელმეორედ გამოყენების მიზნით, ან თუ ხდება, არ წარმოებს მათი აღრიცხვა. სწორედ ამის გამოა, რომ ახალქალაქის რაიონის მიერ განათლების სამინისტროში წარმოდგენილ ცნობაში ზოგიერთი კლასის მოსწავლეთა კონტინგენტი რეალურთან შედარებით 100%-ით მეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის სკოლებში 1979 წელში ოთხი წლის ვადით დასტამბული სახელმძღვანელოების 40% უკვე იმდენადაა გაცვეთილი, რომ აღარ ვარგა მეორე წელს გამოსაყენებლადაც კი. სკოლების ადმინისტრაციული, პარტიული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების გეგმებში არაა ასახული ის ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია უფასო სახელმძღვანელოების ფონდის მოვლა-პატრონობასთან. რაიონის ხელმძღვანელობის უგულისყურობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მეთოდკაბინეტის არასწორი და უაზრო განაწილების შედეგად „მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის“ სერიის წიგნების 3 კომპლექტი მოხვდა საბავშვო ბაღებში.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ახალციხის სახალხო განათლების მუშაობაშიც. რაიონის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო ინსტრუქციის სკოლებამდე დაყვანა. შემოწმებული ცხრა სკოლიდან პარტიისა და მთავრობის დადგენილება უფასო სახელმძღვანელოების ფონდების შექმნის შესახებ, მხოლოდ ხუთ სკოლაშია განხილული და შემოქმედებითად გაანალიზებული. ამიტომაც, ზემო სხვილის, ვალეს 1-ლ და ახალციხის 1-ლ საშუალო სკოლებში არაა შექმნილი უფასო სახელმძღვანელოების ფონდები, არ ხდება უფასო სახელმძღვანელოების აღრიცხვა, არ აწარმოებენ საღრიცხვო ჟურნალებსა დასაკატალოგო ბარათებს. ახალციხის მე-2 საშუალო სკოლაში საბიბლიოთეკო თეგი ინსტრუქციის უხეში დარღვევით დასმულია დედა ენაზე, რომელსაც სახელმწიფო საჩუქრად უძღვნის, როგორც პირველ საანბანო წიგნს.

ახალციხის 1-ლ საშუალო სკოლაში ფონდირებული სახელმძღვანელოების აუცილებელი რეზერვი ნაცვლად 5%-ისა, შეადგენდა 26%-ს. რეალური კონტინგენტის შედარებით განათლების სამინისტროში წარმოდგენილ ცნობასთან, გამოირკვა, რომ ახალციხის განათლების განყოფილება, მუშაობის გაიოლების მიზნით, ხელოვნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ზრდის კონტინგენტს. ასე მაგალითად, ქართული სკოლების 410 მეორეკლასელის ნაცვლად 660 აჩვენა, ხოლო ნაცვლად 451 მესამეკლასელისა 750 და ა. შ.

ასევე არადამაკმაყოფილებელია ონის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მუშაობა (გამგე ამხ. დ. დგვარელი, მეთოდისტი ამხ. კ. გუგეშაშვილი). მთელი რიგი სკოლების ხელმძღვანელობა არ ატარებს საჭირო ღონისძიებებს ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად. ონის მე-2 საშუალო სკოლის (ამხ. ლ. კუხიანიძე) როგორც ერთიან სასწავლო-საალმზრდელო, ასევე ინდივიდუალურ სამუშაო გეგმებში არაა შეტანილი ისეთი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მოსწავლეებში სახელმძღვანელო წიგნის, როგორც სახელმწიფო ქონებისადმი სათუთი დამოკიდებულების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სკოლის დირექტორს ინსტრუქცია მიღებისთანავე გადაუცია ბიბლიოთეკარისათვის და სრულ უმოქმედებაში ქონდა. ცუდ მდგომარეობაშია სკოლაში I-II-III კლასების ფონდირებული სახელმძღვანელოები. გარდა 1-ლი საშუალო სკოლისა, რაიონის არც ერთ სკოლას არა აქვს გამოყოფილი ცალკე ფართი სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდის განსალაგებლად. სკოლებს ასევე, არა აქვთ შეძენილი სპეციალური სტელაჟები სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის; ბიბლიოთეკები უმეტესად მოთავსებულია პატარა ოთახებში, სივიწროვე კი ხელს უშლის ნახმარი სახელმძღვანელოების მაქსიმალურად შეგროვებას. რაიონის საფონდო მეთოდისტი (ამხ. კ. გუგეშაშვილი) არაპროპორციულად ანაწილებს სკოლებზე მეთოდურსა და მხატვრულ ლიტერატურას. ასე მაგალითად, მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის" სერიით გამოცემული წიგნები ონის 1-მა საშუალო სკოლამ მიიღო 10 კომპლექტი, ონის მე-2 საშუალო სკოლამ — 8, პიპილეთის საშუალო სკოლამ — 8, სოფელ ირის საშუალო სკოლამ — 7, განათლების განყოფილებამ — 4, ხოლო სოფელ გლოლისა და უწერის საშუალო სკოლებმა არც ერთი.

უხეშ დარღვევას ქონდა ადგილი „მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის" სერიის წიგნების განაწილებისა და სკოლებზე მათი მიწოდების საქმეში ამბროლაურის რაიონში. რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ხელმძღვანელობის უყურადღებობითა და

ულიათობით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამბროლაურის რაიკოოპერატივმა ამ სერიის წიგნები კერძო პირებზე გაყიდა, რითაც ძვირფასი საკითხავი წიგნები დააკლდა ამბროლაურელ მოსწავლეებს. აღნიშნული კომპლექტები ჯერაც არაა ამოღებული კერძო პირებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ცაგერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება სერიოზულად მოეკიდა სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის საქმეს, მაინც შეინიშნება ხარვეზი მის მუშაობაში. ასე მაგალითად, სოფლების ლაილაშისა და ზუბის საშუალო სკოლებში გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. სოფელ ლაილაშის სამი სკოლის I-II კლასებში (მასწავლებელი ც. გოდერიძე) დახეული და ფურცლებამოცვენილია დედაენისა და მათემატიკის სახელმძღვანელოები. სოფელ ზუბის საშუალო სკოლის 1-ლ კლასში (მასწავლებელი ს. ბობოხიძე), სადაც 9 მოსწავლე ირიცხება, ყდებშემოხეული და ფურცლებამოცვენილია დედაენისა და მათემატიკის თითქმის ყველა სახელმძღვანელო. აღნიშნულ სკოლაში არ ხდება ფონდირებული სახელმძღვანელოების აღრიცხვა, სახელმძღვანელოებზე არაა დასმული თეგი, არაა შევსებული საკატალოგო ბარათები. რაიონის განათლების საბჭომ მასწავლებლებს ც. გოდერიძეს, მ. გიორგობიანს, ც. ბობოხიძეს და დ. ჩაკვეტაძეს ახალი სახელმძღვანელო წიგნების მოვლა-დაცვის საქმეში უკონტროლობისა და არასათანადო ახსნა-განმარტებების ჩატარებისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო სოფელ ლაილაშის საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. რ. ბურჯალიანი, დირექტორის მოადგილეები პ. გოლეთიანი და ბ. მუშკუდიანი გააფრთხილა.

სერიოზულ დარღვევებს აქვს, აგრეთვე, ადგილი გარდაბნის რაიონის (გამგე რ. იმნაძე, მეთოდისტი მ. ჩადუნელი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელთა და პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობაში. კერძოდ, გარდაბნის რუსულ 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. მუსაევი) არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლებისა და მათ მოვლა-დაცვასთან დაკავშირებით. არ იცნობენ განათლების სამინისტროს ინსტრუქციას. მართალია, აღნიშნული ინსტრუქცია სკოლას მიღებული აქვს, მაგრამ არ მოუხდენია მისი განხილვა-გაცნობა პედაგოგიური კოლექტივისა

და მოსწავლეებისათვის. დირექტორს რეზოლუციით „იხელმძღვანელე“ გადაუცია იგი სკოლის ბიბლიოთეკარ ლ. რანგელისათვის. ბიბლიოთეკარს კი, თავის მხრივ, ინსტრუქცია ჩაკეტილი ქონდა კარადაში და არ მიუღია საჭირო ლონისძიებები ინსტრუქციით გათვალისწინებული მუხლების განხორციელებისათვის, რის შედეგადაც I, II და III კლასების სახელმძღვანელოები დღემდე არ არის ფონდირებული, მოსამზადებელი კლასის სახელმძღვანელოები უკვე გამოსულია მწყობრიდან.

იმის გამო, რომ რაიონის სახალხო განათლების განყოფილება არასერიოზულად ეკიდება სტაბილური სახელმძღვანელოების შეგროვებას, გარდაბნის რაიონის 1-ლ და სოფელ ფონიჭალის აზერბაიჯანული საშუალო სკოლების მაღალ კლასებში აშკარად იგრძნობა სახელმძღვანელოების სიმცირე. მაგალითად, გარდაბნის აზერბაიჯანულ 1-ლ საშუალო სკოლაში მე-8ბ კლასის 30 მოსწავლიდან ნახევარს არა აქვს ფრანგული ენის სახელმძღვანელო; 10 მოსწავლეს საქართველოს ისტორია; მე-9ა კლასში 20 მოსწავლიდან 11 აზერბაიჯანული ლიტერატურის ქრესტომათიის სახელმძღვანელოს გარეშეა დარჩენილი, ხოლო მე-11დ კლასის 23 მოსწავლიდან 19-ს არ აღმოაჩნდა ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო. არასათანადო დონეზეა დაყენებული, აგრეთვე, სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა-განახლებისა და დაცვის საქმე სოფელ ჯანდარისა და კალინინის აზერბაიჯანულ საშუალო სკოლებში.

უდიერად მოეპყრო „მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის“ სერიის წიგნებს გარდაბნის რუსული საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. გ. მუსიევი, რომელმაც სკოლის კუთვნილი 30 დასახელების წიგნიდან არც ერთი არ გამოისყიდა რაიკავშირის მაღაზიიდან.

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი წალკის რაიონის (ამხ. რ. მელტონიანი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. განათლების განყოფილებამ 1979 წლის ივლისის თვეში შტატით გათვალისწინებული მეთოდისტი მხოლოდ 1980 წლის თებერვალში დანიშნა. განათლების სამინისტროს ინსტრუქცია არ განუხილავთ და პედკოლექტივისათვის არ გაუცნიათ წალკის 1-ლი (ამხ. ა. სამურვანოვი), ვი), მე-2 (ამხ. გ. ჩამურლიევი), მე-3 (ამხ. ა. კალაჯიევი), სოფელ ნარდევანის სომხური (ამხ. გ. ანტონიანი) საშუალო სკოლების ხელმძღ-

ვანელებს. ამ სკოლებში I-II-III კლასების სასკოლო სახელმძღვანელოები არაა შეტანილი საბიბლიოთეკო ფონდში. განყოფილება არასწორად აწარმოებს სახელმძღვანელოების განაწილებას. სოფელ ჯინსისის რუსულ საშუალო სკოლას არ მიუღია V კლასის ინგლისური ენის სახელმძღვანელო. ეს მაშინ, როცა რაიონისათვის გამოყოფილი და გაგზავნილია 207 ეგზემპლარი.

შეუწყნარებელ მდგომარეობას აქვს, აგრეთვე, ადგილი სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილებისა (გამგე კ. ძნელაძე, მეთოდისტი კ. ფანცულაია) და რაიონის ზოგიერთი საშუალო სკოლების ხელმძღვანელობის საქმიანობაში, სადაც არასერიოზულად მოეკიდნენ პარტიისა და მთავრობის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილების სასკოლო ცხოვრებაში გატარებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 522 ბრძანება სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების, მათი სარგებლობის წესისა და ლიტერატურის დაცვის ღონისძიებათა შესახებ განათლების განყოფილებას ავალებდა სკოლების დირექტორების, პედაგოგიური კოლექტივებისა და ბიბლიოთეკარებისათვის გაეცნოთ და განემარტათ აღნიშნული ინსტრუქცია, ეს საქმე რაიონში არ გაკეთებულა. შემოწმებულ 1-ლ (ამხ. ნ. ჯიქიძე), მე-2 (ამხ. გ. კოპალეიშვილი) და მე-3 (ამხ. თ. მიქაძე) საშუალო სკოლებში არ იცნობენ ინსტრუქციას, პედკოლექტივის წევრების სამუშაო გეგმებში არაა ასახული შესაბამისი საკითხები, ფონდირებული წიგნები არაა დამუშავებული საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. მე-2 კლასის მოსწავლეები მთლიანად არ არიან უზრუნველყოფილნი ახალი სახელმძღვანელოებით. ზოგიერთი მოსწავლე ძველი სახელმძღვანელოებით სარგებლობს. არ წარმოებს ფონდირებული სახელმძღვანელოების აღრიცხვა და დამუშავება.

განყოფილების ხელმძღვანელობის ინერტულობამ და არაოპერატიულობამ გამოიწვია ის ფაქტი, რომ „მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის“ სერიის პირველი და მეორე ტომები კერძო პირებზე იქნა გაყიდული.

საგანგებო მსჯელობის საგანია ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების (ამხ. შ. გორგოძე) მიერ

ჩატარებული მუშაობა რაიონში უფასო სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკო ფონდების შექმნის მიმართებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ განყოფილებას დროულად აქვს მიღებული განათლების სამინისტროს № 522 ბრძანება „სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განაწილების, მათი სარგებლობის წესისა და ლიტერატურის დაცვის ღონისძიებათა შესახებ“, არა აქვს იგი განხილული განათლების საბჭოზე და არა აქვს შემუშავებული შესაბამის ღონისძიებათა გეგმა, რამაც თავი იჩინა რაიონის სკოლების სახელმძღვანელოებით მომარაგებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში.

ჩვენს მიერ შემოწმებულ სკოლებში (ორი სკოლის გამოკლებით) სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის საკითხი ფაქტიურად უგულებელყოფილია. ეს გარემოება, უმეტესწილად, გამოწვეულია იმით, რომ ინსტრუქციას არ იცნობენ სკოლების ხელმძღვანელები, პედაგოგები, ორგანიზატორები, ბიბლიოთეკარებიც კი, რომლებთანაც იგი ინახება. რაიონის ხელმძღვანელობამ დღემდე (!) ვერ მოახერხა დაენიშნა საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტი, რომელიც მოაწესრიგებდა და უხელმძღვანელებდა ამ საქმეს (აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ თბილისის ოქტომბრის რაიონი დღეისათვის ერთადერთია, სადაც არა გვყავს საბიბლიოთეკო ფონდებზე მომუშავე მეთოდისტი).

ინსტრუქციას საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ არ იცნობენ მე-4, 26-ე, 32-ე, 36-ე საშუალო სკოლებში, შესაბამისად ამისა, აღნიშნულ სკოლებში არც წარმოებს I-II-III კლასების უფასო სახელმძღვანელოების ფონდირება, მათი აღრიცხვა. რაიონის განათლების განყოფილების ხელმძღვანელობის დონე მოუქნელია და უგულისყურო მუშაობის შედეგია ის ფაქტი, რომ საბიბლიოთეკო ფონდების საღრიცხვო ჟურნალები, რომლებიც 5-5 ათასი ტირაჟით დაიბეჭდა და დღეისათვის მთიანი რაიონების სკოლებშიაც კია შესული, ვერა და ვერ მიიღეს ოქტომბრის რაიონის სკოლებმა, რომელთა ხელმძღვანელობამ დღემდე ვერ გაიტანა ისინი თვალსაჩინოებათა საბაზო მაღაზიიდან, რის გამოც მე-5 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე (ამხ. რ. სიხარულიძე) იძულებული გახდა საკუთარი თანხით ზედმეტ ფასში (!) შეეძინა საღრიცხვო ჟურნალი, რომელსაც შემოწმების დღეს ავსებდა. რაიონის სკოლებში შემოწმების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროისათვის სახელმძღვანელოების ცვდომის პროცენტი 36-37%-ს აღწევს (მე-4, 26-ე, 29-ე, 32-ე სკოლები), ნატვლად 10-15%-ისა. ნიშნული სკოლების სამუშაო გეგმებში არაა შეტანილი ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ბავშვს მოაგონებდა, რომ წიგნი სახელმწიფო საკუთრებაა, სახელმწიფო მონაპოვარია და მისდამი მეტი მზრუნველობა, მეტი სიფრთხილე მართებს; რომ მოსწავლეზეა დამოკიდებული მომავალში გამოსაცემი მხატვრული და მეთოდური ლიტერატურის სიუხვე, რამეთუ ყოველი კილოგრამი სახელმძღვანელოებიდან გამოთავისუფლებული ქაღალდისა კვლავ საბავშვო წიგნის ბეჭდვას მოხმარდება.

სკოლები არ იცნობენ სახელმძღვანელოების სარგებლობის ახალ წესს. რიგ სკოლებში (მე-20, 32-ე, 39-ე) საბიბლიოთეკო თეგი დასმულია საანბანო წიგნზე — დედაენაზე, რომელიც პატარამ სწავლის პირველსავე დღეს, საზეიმო ვითარებაში უნდა მიიღოს საჩუქრად, როგორც მომავალში კარგად სწავლისა და წიგნისადმი უსაზღვრო მზრუნველობის საწინდარი.

განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა 36-ე საშუალო სკოლაში: ფონდირებული სახელმძღვანელოები არაა აღრიცხული, მოსწავლეებმა არ იციან ვისია წიგნი, წიგნებს მოსწავლეთა გვარები აწერია; სკოლას არა აქვს სააღრიცხვო ჟურნალები, საკატალოგო ბარათები, უწესრიგობაა სკოლის ბიბლიოთეკაში. ლაპარაკიც კი ზედმეტია მხატვრული ლიტერატურის სარეკომენდაციო სიებზე, რომელიც მოსწავლეს კლასგარეშე კითხვის ინტერესს აღუძრავს.

ანალოგიური მდგომარეობაა 39-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ხომერიკი, ბიბლიოთეკის გამგე ნ. კობახიძე). ამ სკოლაში დაკანონებულია სახელმძღვანელოების აღრიცხვისა და განაწილების არასწორი წესი, რომელიც დავალებული აქვს არა ბიბლიოთეკარს, არამედ ისტორიის მასწავლებელს ამხ. მ. დარჩიას, რომელიც არ წარმოადგენს ამ საქმეზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირს. ამიტომაც, სკოლაში აღრიცხვაზე აყვანილი არაა I-II-III კლასების ფონდირებული სახელმძღვანელოები. მე-3ა კლასში (მასწ. გ. სიხარულიძე) 25 მოსწავლიდან უმრავლესობას სახელმძღვანელოები დახეული, ჭუჭყიანი და ფურცლებამოცვენილი ქონდა. ასეთი მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობა იყო მე-3გ (მასწ. გ. ჭაპოშვილი), 1ა (მასწ. ი. მუმლაძე), მე-2ა (მასწ. დ. ყიფიანი), მე-2ბ კლასებში. მოსწავლეებმა არ იციან წიგნის მოვლა-დაცვის ელემენტარული წესები. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ სკოლის ხელმძღვანელობას შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული არა აქვს საერთო მოთხოვნები მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოების მოვლა-დაცვის შესახებ. სკოლის დირექტორსა და მის მოადგილეს აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ლ. ხაჩიძეს თავის სამუშაო გეგმებში არა აქვს შემუშავებული ღონისძიებებთან დაკავშირებული ისეთი თემატიკა, რომელიც ხელს შეუწყობდა სკოლაში და სკოლის გარეთ მოსწავლეებში წიგნისადმი სათუთი დამოკიდებულების ჩვევების გამომუშავებას, აამაღლებდა მათში წიგნისადმი სიყვარულისა და პასუხისმგებლობის გრძნობას.

უმრავლესი სკოლების ბიბლიოთეკარების გეგმებში შეტანილია ერთადერთი საკითხი „სახელმძღვანელოების შესაკეთებლად ბრიგადის „იცოცხლე წიგნო“ შექმნა, „ბრიგადისა“, რომელიც დღემდე არც შექმნილა და არავითარი საქმიანობა არ ჩაუტარებია.

არც ერთ სკოლაში არაა შევსებული სახელმძღვანელოების ბოლო გვერდზე მოცემული სვეტი, რომელშიც შეიტანება მონაცემები სახელმძღვანელოს კუთვნილებისა და მდგომარეობის შესახებ, მოუწესრიგებელია რაიონში „მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის“ სერიის წიგნების განაწილების საქმე. წიგნები არაპროპორციულადაა განაწილებული სკოლებზე. ასე მაგალითად, 32-ე საშუალო სკოლაში ჯიოვანოლი მიღებულია 1 ეგზემპლიარი, ლერმონტოვი — 6, ჟიულ-ვერნი — 3; მსგავსი სურათია რაიონის ყველა სკოლაში. გარკვეული ნაწილი წიგნებისა საერთოდ გამქრალია; იგი არც სკოლაშია, არც მეთოდკაბინეტში.

სკოლები უსისტემოდ იღებენ მეთოდურ ლიტერატურას, რაშიც უშუალოდ განათლების განყოფილების ხელმძღვანელობაა დამნაშავე. მარტო მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან ოქტომბრის რაიონს არ გაუტანია მასზე გამოყოფილი ლიტერატურა ბიბლიოლექტორიდან, რომლის საერთო ღირებულება ოთხი ათას მანეთს შეადგენს. მიუხედავად განათლების სამინისტროს არაერთგზის შეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენებისა, სკოლებისათვის ესოდენ საჭირო წიგნები უძრავად დგას ბიბლიოთეკაში, გამოსასყიდი თანხის უქონლობის გამო.

აღნიშნული პირდაპირი შედეგია იმისა, რომ ქ. თბილისის განათლების სამმართველოს მეთოდისტის მოვალეობის შემსრულებელი ამხ. ც. ნიქაბაძე სათანადო კონტროლს ვერ ახორციელებს ქალაქის სკოლების მუშაობაზე ამ მიმართებით, ვერ უწევს საჭირო მეთოდურ დახმარებას სკოლის ბიბლიოთეკარებს უფასო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების უკეთ წარმოების საქმეში. ამხ. ც. ნიქაბაძე შტატით დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტია, ამავე დროს ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის სკოლაში, რის გამოც ყოველდღე დაკავებული აქვს დღის პირველი ნახევარი. ცხადია, მოუცლელი პიროვნება ასეთ საპასუხისმგებლო უბანს ვერ უხელმძღვანელებს. ჩვენ რამოდენიმეჯერ მივმართეთ თხოვნით ქ. თბილისის განათლების სამმართველოს გამოეძებნა ამ საქმისათვის უფრო შესაფერისი პიროვნება, მაგრამ დღემდე შედეგი არ ჩანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

1980 წლის 3 აპრილის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სასკოლო საბიბლიოთეკო კოლექტორის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ებ

განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მომარაგება სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურით, დამხმარე თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით სხვადასხვა დისციპლინებში.

ასე მაგალითად, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მარტო გამომცემლობა „განათლების“ ხაზით გამოიცა და განათლების სამინისტროს სისტემაში მყოფ ორგანიზაციებს დაეგზავნა 75 დასახელების მეთოდური ლიტერატურა, 20 თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალა, 18 დასახელების წიგნი სერიიდან „მოსწავლის ბიბლიოთეკა“; ამავე დროში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს რუსულ ენაზე დაეგზავნა რსფსრ-ს გამომცემლობა „პროსვეშჩენიეს“ მიერ დასტამბული 172 მეთოდური ლიტერატურა, 36 თვალსაჩინო-დიდაქტიკული მასალა, 138 დასახელების წიგნი სერიიდან „მოსწავლის ბიბლიოთეკა“.

ზემოდასახელებული ლიტერატურის ადგილებამდე მიტანის საქმეში დიდ მუშაობას ეწევა განათლების სამინისტროს სასკოლო საბიბლიოთეკო კოლექტორი (დირექტორი ამხ. ვ. გ. რამიშვილი), რომელიც სკოლის ბიბლიოთეკებს, სკოლამდელ დაწესებულებებსა და განათლების სისტემაში შემავალ სხვა ორგანიზაციებს ამარაგებს მეთოდური, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურით, საბიბლიოთეკო ტექნიკით, ნაბეჭდი თვალსაჩინოებით, პროგრამებით, საგამოცდო ბილეთებით და ა. შ.

ბიბლკოლექტორმა 1979 წლის 15 აპრილიდან დღემდე მიიღო და რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილებებს დაუგზავნა 740 ათასი მანეთის 815 დასახელების ლიტერატურა, რომლის საერთო რიცხვი 1 132 716 ეგზ. შეადგენს.

მაგრამ ამ კარგი ციფრობრივი მაჩვენებლების გვერდით, საჭიროა აღინიშნოს ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელიც შეინიშნება სასკოლო ბიბლიოლექტორის მუშაობაში: იგი ვერ უწევს საკონსულტაციო ბიბლიოგრაფულ დახმარებას სკოლის ბიბლიოთეკარებს ნაბეჭდი პროდუქციის სწორად და მიზნობრივად შერჩევის საქმეში, არ აწარმოებს კოლექტორისა და „საქწიგნის“ ნომენკლატურაში მყოფი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის მიმოხილვას, სასკოლო ბიბლიოთეკებში არ აგზავნის ანოტაციებს უახლოეს პერიოდში გამოსაშვებ ლიტერატურაზე, არ აწარმოებს შეკვეთილი, შემოსული და გაცემული ლიტერატურის კარტოთეკას, არ აწყობს საილუსტრაციო თემატურ გამოფენებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, დროულად არ იღებს საჭირო ზომებს ბიბლტექნიკის შესაძენად და ამ უკანასკნელით სკოლის ბიბლიოთეკების უზრუნველსაყოფად, არა აქვს შედგენილი წლიური და კვარტალური გეგმები.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ლოგიკური შედეგია იმისა, რომ სასკოლო საბიბლიოთეკო კოლექტორის შტატი დაკომპლექტებულია არაკვალიფიციური კადრებით, რომელთაც არ ყოფნით ცოდნა და გამოცდილება ზემოხსენებულ სამუშაოთა შესასრულებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს ბიბლკოლექტორის მუშაობაში დაშვებული უხეში დარღვევების შესახებ: როგორც ადგილებიდან მიღებული აქტები ცხადყოფენ, არის შემთხვევები, როცა ბიბლკოლექტორის მიერ გაგზავნილ ამანათებს აკლია თანმხლები დოკუმენტით (ე. წ. ფაქტურით) გათვალისწინებული ლიტერატურის ცალები (ქუთაისის, გორის, გურჯაანის, საჩხერის რაიონების მაგალითზე), ხშირად ამანათს საერთოდ არ ახლავს მიღებული ლიტერატურის ნუსხა (ფაქტურა) და განათლების განყოფილება აღნიშნულს იღებს მოგვიანებით, ორი-სამი თვის შემდეგაც კი (სამხრეთ ოსეთის ა/ო, გურჯაანი).

ამასთან, ზოგიერთი ქალაქის (რაიონის) სახალხო განათლების განყოფილება უპასუხისმგებლობას იჩენს ბიბლკოლექტორიდან მათთვის განკუთვნილი ლიტერატურის დროულად გატანის საქმეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(თბილისის ოქტომბრისა და ლენინის რაიონები, პედაგოგიური ზოგადოება, გლდანის სპორტული, ლესელიძის სახელობის სამხედრო სკოლა-ინტერნატები და სხვ.), რაც იწვევს ბიბლიოლექტორის სათავსების გადატვირთვას, რის შედეგადაც ფერხდება ბიბლიოლექტორის მიერ „საქწიგნიდან" მისაღები ახალი ლიტერატურის დროულად შემოტანა.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაევალოს ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს უზრუნველყონ მათთვის განკუთვნილი ლიტერატურის დროულად გატანა ბიბლიოლექტორიდან და დანაკლისის თითოეული შემთხვევის შესახებ აქტით აცნობონ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს (ამხ. ნ. ღლონტი).

2. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):

2.1. ბიბლიოლექტორის მუშაკებს გაუწიოს სათანადო მეთოდური დახმარება შეკვეთილი, შემოსული და გაცემული ლიტერატურის კარტოთეკის შედგენის საქმეში;

2.2. უზრუნველყოს საბიბლიოთეკო ტექნიკის ნაბეჭდი პროდუქციის დასტამბვა შეკვეთის წესით;

2.3. მკაცრად იმსჯელოს და უყურადღებოდ არ დატოვოს ადგილებიდან შემოსული არც ერთი სიგნალი ამანათებში დანაკლისი ეგზემპლარების თაობაზე.

3. განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე):

3.1. ბიბლიოლექტორს იმავე შენობაში, პირველ სართულზე დამატებით გამოუყოს ერთი ოთახი;

3.2. მიიღოს საჭირო ზომები ბიბლიოლექტორისათვის სატვირთო მანქანის გამოსაყოფად;

3.3. უზრუნველყოს საბიბლიოთეკო ტექნიკის დასაბეჭდად საჭირო ქაღალდებისა და მუყაოს გამოყოფა.

4. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) პერიოდულად გამოაქვეყნოს ცნობა ბიბლიოლექტორის მიერ დაგზავნილი ლიტერატურის შესახებ რუბრიკით „რა წიგნები შეემატა სასკოლო ბიბლიოთეკის თაროებს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაკისრებული მოვალეობისადმი გამოჩენილი უპასუხისმგებლობისა და არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის, რომელმაც განაპირობა უხეში დარღვევები ბიბლიოლექტორის მიერ ლიტერატურის დროულად და სრულად მიწოდების საქმეში სასკოლო საბიბლიოთეკო კოლექტორის საწყობის გამგის ამხ. მ. ნ. ჯანყარაშვილის პერსონალური საკითხი განსახილველად გადაეცეს ბიბლიოლექტორის დირექციას და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ ეცნობოს განათლების სამინისტროს.

6. სამსახურებრივი საქმიანობისადმი უგულისყურო, ზერელე და უდიერი დამოკიდებულებისათვის, რასაც შედეგად მოყვა სერიოზული ხასიათის შეცდომები სასკოლო საბიბლიოთეკო კოლექტორის დირექტორს ამხ. ვ. გ. რამიშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

7. სასკოლო საბიბლიოთეკო კოლექტორის დირექტორმა (ამხ. ვ. რამიშვილი):

7.1. სრულად აღკვეთოს და მოაწესრიგოს ბიბლიოლექტორის საქმიანობაში არსებული დარღვევები;

7.2. სახელმძღვანელოების სამმართველოსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ბიბლიოლექტორის დაკომპლექტება შესაფერისი კადრებით.

8. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სახელმძღვანელოების სამმართველოს (ამხ. ნ. ღლონტი).

9. აღნიშნული გადაწყვეტილება და ცნობა დაიბეჭდოს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

РЕШЕНИЕ

КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О серьезных недостатках в работе школьного библколлектора и мерах по их устранению

3 апреля 1980 года

Коллегия Минпроса ГССР отмечает, что в последние годы коренным образом улучшилось положение обеспечения общеобразовательных школ республики школьными учебниками, методической литературой, наглядно-дидактическими пособиями по разным предметам.

Так, за последние три года только по линии издательства «Ганатлеба» напечатано и выслано организациям Министерства просвещения ГССР 75 наименований методлитературы, 20 наглядно-дидактических пособий, а также 18 — книг серии «Школьная библиотека», а по линии издательства «Просвещение» РСФСР на русском языке доставлено в школы 172 наименования методической литературы, 36 наглядно-дидактических пособий, 138 наименований серии «Школьная библиотека».

В деле доставки вышеуказанной литературы по назначению большую роль играет школьный библколлектор Минпроса ГССР (дир. тов. В. Г. Рамишвили), который призван обеспечить методической, художественной и политической литературой, библтехникой, печатными наглядными пособиями, программами, экзаменационными билетами и др. школьные библиотеки, дошкольные учреждения и др. организации, входящие в систему Минпроса ГССР.

С 15 апреля 1979 года по сей день библколлектор получил и отправил в районные (городские) отделы народного образования литературу 815 наименований общим числом 1132716 экземпляров на сумму 740000 рублей.

Но наряду с этими хорошими показателями в работе школьного библколлектора имеются и серьезные недостатки. Коллектив библколлектора не может обеспечить консультационной библиографической помощью школьных библиотекарей в деле правильного выбора печатной продукции, не разрабатывает обзора литературы, находящейся в номенклатуре коллектора и «Сакцигни», не знакомит библиотекарей с аннотациями на издаваемую литературу, не составляет картотеку на заказываемую, поступаемую и выдаваемую литературу, не организует иллюстративно-тематические выставки, посвященные знаменитым политическим и юбилейным датам, не вовремя принимает нужные меры по приобретению библтехники и обеспечению ею школьных библиотек, не имеет годового и квартального планов работ.

Указанные недостатки являются логичным результатом того, что школьный библиотечный коллектор укомплектован неквалифицированными кадрами, которые не имеют достаточного опыта работы по этой отрасли. Здесь же должны быть отмечены серьезные недостатки, допущенные в работе библколлектора. Как видно из полученных с мест актов, нередки случаи, когда в отправленных посылках библколлектора отсутствуют соответствующие документы (фактуры), удостоверяющие количество экзампляров литературы. Например, в посылках, отправленных в Кутаиси, Гори, Гурджаани, Сачхере, часто или вовсе отсутствуют списки получаемой литературы или они высылаются районным отделам народного образования спустя 2-3 месяца после получения ими посылки.

Вместе с тем, некоторые районные (городские) отделы народного образования проявляют безответственность по своевременному вывозу полагающейся им литературы из библколлектора (Октябрский и Ленинский районы г. Тбилиси, педагогическое общество, Глданская спортивная школа, школа-интернат им. Леселидзе и др.), что вызывает загруженность библколлектора, в результате чего затрудняется дело

ეროვნული ბიბლიოთეკა

своевременного завоза новой литературы из «Сакцигни» библколлектором.

Коллегия решает:

1. Поручить заведующим городскими и районными отделами народного образования обеспечить своевременный вывоз полагающейся им литературы из библколлектора и о каждом недостающем экземпляре литературы сообщить Управлению учебников Минпроса ГССР (тов. Н. Глонти).

2. Управлению учебников (тов. Н. Глонти):

2.1. Оказать соответствующую помощь работникам библколлектора в деле составления картотеки на заказываемую, поступаемую и выдаваемую литературу;

2.2. Обеспечить издание печатной продукции библтехники по заказу;

2.3. Строго реагировать и не оставлять без внимания ни один сигнал и факт о нехватке экземпляров в посылках с мест;

3. Главному управлению снабжения Министерства просвещения ГССР (тов. О. Кереселидзе):

3.1. На первом этаже здания библколлектора выделить дополнительно одну комнату;

3.2. Принять соответствующие меры по выделению одной грузовой автомашины для библколлектора;

3.3. Выделить нужную бумагу и картон для издания библтехники.

4. Редакции газеты «Сахалхо ганатлеба» (тов. Н. Швелидзе) под рубрикой «Какими новыми книгами пополнилась книжная полка» периодически информировать школы об отправленной библколлектором литературе.

5. За безответственность и недобросовестное отношение к служебным обязанностям, проявляющихся в грубых нарушениях в деле своевременной и полной отправки литературы

библколлектором, персональный вопрос зав. складом библколлектора тов. М. Н. Джанкарашвили передать на рассмотрение дирекции библколлектора и о принятых мерах сообщить Минпросу ГССР.

6. За халатное отношение к служебным обязанностиям, вследствие чего создались серьезные нарушения в работе библколлектора, директору библколлектора тов. В. Г. Рамишвили объявить строгий выговор.

7. Директору библколлектора (тов. В. Рамишвили):

7.1. Ликвидировать имеющие недостатки и привести в полный порядок работу библколлектора;

7.2. Совместно с Управлением учебников в месячный срок укомплектовать библколлектор соответствующими кадрами;

8. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление учебников (тов. Н. Глонти).

9. Указанное решение и справку опубликовать в Сборнике приказов и инструкций Минпроса ГССР.

Председатель коллегии

Министр **О. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადისათვის საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მომზადების შ ე ს ა ხ ებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სპორტის ცალკეულ სახეობებში ნაკრები გუნდების მზადებას მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადისათვის, ძირითადად, 1979 წლის მარტიდან შეუდგა. ამ პერიოდისათვის დამთავრდა საგაზაფხულო შეჯიბრებები, სადაც დაზუსტდა ნაკრები გუნდების კანდიდატების სიები. შეირჩა მწვრთნელთა შემადგენლობა, შედგა სპორტის ყველა სახეობაში ნაკრები გუნდების მზადების წლიური და სასპარტაკიადო ციკლის გეგმა, დაწესდა სისტემატური კონტროლი საწვრთნელი მუშაობის მიმდინარეობაზე.

განვლილ პერიოდში თითოეული ნაკრები გუნდისათვის მოეწყო 3-4 შეჯიბრება და შესაბამისად ამდენივე სასწავლო-საწვრთნელი შეკრება. სპორტის საწყლოსნო სახეობებში, აკრობატიკაში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში გუნდები ამჟამად ვარჯიშობენ ცენტრალიზებულად, ფეხბურთში, ჭიდაობაში, ფარიკაობაში, ქ. თბილისში მყოფი მოსწავლე-სპორტსმენები, გარდა სასწავლო-საწვრთნელი შეკრებებისა, კვირაში ერთხელ. აწყობენ ერთობლივ წვრთნას და საკონტროლო შეჯიბრებას, ხოლო სპორტთამაშობებში ნაკრები გუნდების ძირითად ბაზას წარმოადგენს ქ. თბილისში არსებული განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლები. უახლოესი პერიოდისათვის დამთავრდება რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან ქ. თბილისში ნაკრები გუნდების კანდიდატების გადმოყვანა და მათთვის სწავლისა და წვრთნის ნორმალური პირობების შექმნა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო შტაბის სხდომებზე სისტემატურად ისმენს გუნდების მზადების მიმდინარეობას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებს ქმედით ზომებს მუშაობაში არსებული ხარვეზების დროულად გამოსასწორებლად.

მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადისათვის საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების უკეთ მომზადების მიზნით საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. საქართველოს სსრ მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებთან მუშაობის ხარისხის ამაღლებისა და სასწავლო-საწვრთნელ და აღმზრდელობით პროცესზე სათანადო კონტროლის დაწესების მიზნით შეიქმნას მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების ოპერატიული შტაბი (დანართი № 1).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესაბამის კომიტეტებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ 1981 წელს მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადისათვის საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მომზადების საკითხს. შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკრები გუნდების კანდიდატების გეგმაზომიერი მომზადების უზრუნველსაყოფად სპორტის იმ სახეობებში, რომელიც მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადის პროგრამითაა გათვალისწინებული (მძლეოსნობა, ცურვა, სპორტული ტანვარჯიში, აკრობატიკა, მხატვრული ტანვარჯიში, კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ველოსპორტი, შოსე და ტრეკი, საბაიდარო ნიჩბოსნობა, წყალში ხტომა, წყალბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუ-დო, კრივი, ფარიკაობა, ტყვიის სროლა, ჭადრაკი, აკადემიური ნიჩბოსნობა).

რესპუბლიკის ნაკრები გუნდების კანდიდატებს, სწავლაში ჩამორჩენის აცილების მიზნით, შეუქმნან სწავლისა და სპორტული მეცადინეობისათვის საჭირო პირობები, მიამაგრონ მასწავლებლები, ჩაუტარონ დამატებითი მეცადინეობები და კონსულტაციები დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების იმ კანდიდატებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ იქნებიან გადაყვანილი ქ. თბილისში ერთობლივი წვრთნისათვის, მიამაგრონ ადგილებზე საუკეთესო მწვრთნელები, გამოუყონ სამეცადინო ადგილები, უზრუნველყონ ისინი სავარჯიშო სპორტული ტანსაცმლითა და სათანადო ინვენტარით.

3. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებთან მუშაობის ორგანიზებულად წარმართვისათვის და მათ მაღალ სპორტულ დონეზე მომზადებაზე პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სპორტის სახეების მიხედვით დამტკიცდეს მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადისთვის საქართველოს სსრ მოსწავლეთა ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელების, მწვრთნელების, კომორგების, გუნდის უფროსებისა და მიმაგრებული უწყებების, სპორტული საზოგადოებებისა და სპორტული სკოლების სია.

სპორტის სახეებზე გაპიროვნებულმა ორგანიზაციებმა გამოყონ თანხები ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებისა და **სამატჩო შეხვედრების ჩასატარებლად, უზრუნველყონ** ისინი სავარჯიშო სპორტული ფორმითა და ინვენტარით. ა/წლის 1 მაისამდე წარუდგინონ საორგანიზაციო კომიტეტს მათზე განპირობებულ სპორტის სახეებში ნაკრები გუნდების მეცადინეობის ცხრილი და სპარტაკიადისათვის მომზადების კორექტირებული და დაზუსტებული გეგმა-გრაფიკი, სადაც გათვალისწინებულ იქნას კვირაში 9-12 ჯერადი ვარჯიშების სისტემატური ჩატარება.

4. ნაკრები გუნდების კანდიდატთა ერთობლივი წვრთნის ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. დ. კვინიკაძე) მიერ წარმოდგენილი სიის მიხედვით რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სკოლებიდან 1980 წლის 10 ნოემბრამდე გადმოიყვანოს ქ. თბილისში სასწავლებლად ნაკრები გუნდის კანდიდატები და უზრუნველყოს მათი ჩარიცხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესაბამის კლასებში.

5. ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა ნაკრები გუნდები, მოსწავლე-სპორტსმენთა სპორტული დაოსტატებისა და საშეჯიბრო გამოცდილების მიღების მიზნით. ჩართონ მონაწილეობის მისაღებად სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში.

ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს (ამხ. დ. პერტენავა). მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს სპორტულ ბაზებსა და საცურაო აუზებზე, მათ შორის რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ზამთრის საცურაო აუზსა და ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ საწყლოსნო-სპორტულ კომპლექსზე, სავარჯიშოდ გამოუყოს დრო დღის საათებში უფასოდ და საღამოს საათებში 50% ღირებულებით, 1981 წლის I კვარტალში განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით შესასყიდლად გამოუყოს საშეჯიბრო სპორტული ფორმა, სპორტული ინვენტარი და შალის სპორტული კოსტუმები.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდურმა რესპუბლიკურმა ცენტრმა (ამხ. ა. ღონღაძე) მოსწავლეთა XXXI რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების დამთავრების შემდეგ საბოლოოდ დააზუსტოს სპორტის სახეობების მიხედვით ნაკრები გუნდების კანდიდატთა სიები და დასამტკიცებლად წარუდგინოს ოპერატიულ შტაბს.

ნაკრები გუნდების მუშაობაზე დააწესოს მკაცრი კონტროლი. ორგანიზაცია გაუკეთოს საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 22-ვე სახეში ნაკრები გუნდებისათვის სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ნაყოფიერად წარმართვას, შეკრებების ჩატარებას, მათ სამატჩო შეხვედრებსა და ტურნირებში მონაწილეობას.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში დარჩენილი ნაკრები გუნდების კანდიდატების სასწავლო-საწვრთნელ პროცესზე მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით პერიოდულად მიავლინოს ადგილებზე საუკეთესო მწვრთნელები, ფსიქოლოგები, ექიმები, აკომპანიატორები, ქორეოგრაფები, გუნდის უფროსები და სხვა პასუხისმგებელი პირები.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდურმა რესპუბლიკურმა ცენტრმა რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან ქ. თბილისში გადმოყვანილი ნაკრები გუნდის კანდიდატები უზრუნველყოს უფასო მგზავრობით (აბონემენტის შეძენის სახით) და კვებით დღეში 3 მანეთისა და 50 კაპიკის ფარგლებში, ხოლო ქ. რუსთავში მცხოვრები და მცირე შემოსავლის მქონე თბილისელი მოსწავლე-სპორტსმენები კი დღეში 1 მანეთისა და 50 კაპიკის ღირებულების კვებით.

ნაკრები გუნდების კანდირდატების უკეთ მომზადების მიზნით 1980 წლის 1 ივლისიდან მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადის დაწყებამდე სპორტის ცალკეულ სახეებზე მიამაგროს ფსიქოლოგები და სპეციალისტები საერთო ფიზიკურ მომზადებაში და აუნაზღაუროს მათ დღეში 2 (ორი) საათის მუშაობის ხელფასი.

7. განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების კანდიდატებისათვის დაუკვეთოს სააღლუმო ფორმა, დროულად შემოზიდოს საჭირო სავარჯიშო სპორტული ფორმა და ინვენტარი.

8. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. ლ. ჩიქვანაია) მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს, ქალაქის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო და რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტულ დარბაზებში, გამოუყოს სამეცადინო დრო ყოველდღიურად 4 საათის ხანგრძლივობით, ხოლო ამ სასპორტო სკოლების ჯგუფების მეცადინეობები გადაიტანოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბაზაზე.

9. ნაკრები გუნდების წარმატებით მომზადების მიზნით 1980 წლის 1 ივლისიდან სპარტაკიადის დაწყებამდე ნაკრები გუნდების კანდიდატებთან მომუშავე მწვრთნელები და გუნდის უფროსები სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების დროს გათავისუფლდნენ სამუშაოდან საშუალო ხელფასის შენახვით. ნება დაერთოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდურ რესპუბლიკურ ცენტრს ასეთ სპეციალისტებს აუნაზღაუროს დამატებითი სამუშაოს ღირებულება დღეში 2 საათის (კვირაში 12 საათი) ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის, სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილებებმა (ამხ. ამხ. რ. ღარიბაშვილი და რ. ლომინაძე) მოსწავლე-სპორტსმენთა შორის პოლიტალმზრდელობითი და სააგიტაციო მუშაობის დონის ასამაღლებლად შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები. ამ მიზნით ა/წლის 1 ოქტომბრამდე სპორტის 22-ვე სახეში ნაკრებ გუნდებს მიამაგრონ კომორგები. სისტემატურად მოისმინონ მათი ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

11. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. გ. ლეჟავა):

— საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს ა/წლის 1 ოქტომბრიდან საკავშირო სპარტაკიადის დაწყებამდე მიამაგროს კვალიფიციური საექიმო პერსონალი და უზრუნველყოს მათთვის საჭირო ვიტამინებისა და ფარმაკოლოგიური საშუალებების გამოყოფა.

12. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს პროფსაბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების გამგეს ამხ. თ. წივწივაძეს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ი. ორჯონიკიძეს და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს ამხ. ზ. ლომიძეს.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი

ზ. კვაჭაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ი. ორჯონიკიძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

ზ. ლომიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების ოპერატიული შტაბის შემადგენლობა

1. ზ. ლომიძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (შტაბის უფროსი)
2. ს. ჯაბანი — საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (შტაბის უფროსის მოადგილე)
3. ი. ორჯონიკიძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (შტაბის უფროსის მოადგილე)
4. დ. კვინიკაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი
5. დ. კაპცოვი — საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-მეთოდური სამმართველოს უფროსი
6. თ. წივწივაძე — საქართველოს პროფსაბჭოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების გამგე
7. ლ. ჩიქვანაია — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი
8. რ. ლომინაძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თავდაცვით-მასობრივი და სპორტული მუშაობის განყოფილების გამგე
9. ჯ. ახობაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილე
10. ა. ლონღაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდური რესპუბლიკური ცენტრის დირექტორი
11. მ. ტულუში — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდური რესპუბლიკური ცენტრის დირექტორის მოადგილე
12. თ. გაჩეჩილაძე — ჟურნალ „მართვეს“ რედაქტორი

13. კ. არობელიძე — რესპუბლიკური სამკურნალო-ფიზკულტურული დისპანსერის მთავარი ექიმი

14. ა. გიორგობიანი — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი

15. მ. სოკოლოვსკაია — ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდური რესპუბლიკური ცენტრის სპორტის გამოყენებითი სახეების განყოფილების გამგე (შტაბის მდივანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

1980 წლის 3 აპრილის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 19 თებერვლის № 157 დადგენილების შუქზე რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სკოლამდელ დაწესებულებათა დათვალიერების მიმდინარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა სახალხო განათლების ორგანოებმა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარეს რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა დათვალიერების ორგანიზებულად წარმართვისათვის. ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, გორის, წყალტუბოს, წითელწყაროს, გორის, წალკის, ადიგენის, ორჯონიკიძის, გალისა და გურჯაანის რაიონების 150-ზე მეტი სკოლამდელი დაწესებულების დათვალიერების მიმდინარეობის შემოწმებამ ცხადყო, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობაში ჩატარდა შაბათობები, მოწესრიგდა შენობათა ინტერიერი, გაუმჯობესდა კვების ხარისხი, ბავშვთა საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, პედაგოგიური პერსონალის მიერ დამზადდა თვითნაკეთი სათამაშოები და დიდაქტიკური მასალები, მათივე ძალებით შეკეთდა და გადაიღება ინვენტარ-მოწყობილობანი (ქ. გორი) და სხვ.

ქ. თბილისის ლენინის -რაიონში დათვალიერების პერიოდში სკოლამდელ დაწესებულებათა ბოსტნეულით შეუფერხებელი მომარაგებისა და შენახვისათვის გამოიყო ორი სპეციალური საწყობი; კალინინის რაიონის მე-14 საბავშვო ბაღს შეფმა, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ, საჩუქრად გადასცა მსუბუქი მანქანა; ორჯონიკიძის რაიონში დაისახა ღონისძიებები შვიდ სოფელში (მოლითი, ხუნევი, წყალფორეთი, ფარცხნალი, ღორეშამა, ბორითი, კიცხი) სკოლამდელი დაწესებულებებისათვის აიგოს ფინური სახლები, რაიონის ცენტრის ბაგა-ბაღის გასაფართოებლად გამოიყო სათანადო ასიგნობანი, სოფელ ზვარეში აშენდება საგარაკო შენობა და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის (თავმჯდომარე რ. ჯ. ვახიშვილი) ზრუნვა და დახმარება სკოლამდელი დაწესებულებებისადმი. აღმასრულებელ კომიტეტში ყოველი თვის 20 რიცხვისათვის ისმენენ სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეების ინფორმაციებს ჩატარებულ მუშაობაში არსებული ხელშემშლელი პირობების შესახებ და აღმასკომიც ოპერატიულად ღებულობს ზომებს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამავე რაიონის სოფელ ძევერის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ვ. ხუციშვილი) საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლები გამოთავისუფლებული არიან ბავშვთა კვების გადასახადისაგან, მეურნეობა საკუთარი პროდუქტებით ამარაგებს საბავშვო ბაღს, ამჟამად უშენებს ახალ შენობას.

დათვალიერების პერიოდში სკოლამდელ დაწესებულებებს გამოეყოთ 15.250 მანეთის სათამაშოები და თვალსაჩინოებანი.

მიუხედავად ამისა, წალკის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში დათვალიერებისათვის მზადება ნელი ტემპით მიმდინარეობს. დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, ბავშვებში არაა გამომუშავებული თვითმომსახურების ჩვევები, სუსტია კონტაქტი მშობლებთან, პედაგოგიური კადრის უმრავლესობა არასპეციალისტია (68 გამგე და აღმზრდელიდან 31-ს საშუალო განათლება აქვს), ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დაინტერესებაც ნაკლებია სკოლამდელი დაწესებულებებისადმი.

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა დათვალიერების მაღალ დონეზე ჩასატარებლად კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ხელმძღვანელი ორგანოების დახმარების გზით, დათვალიერების პერიოდი მაქსიმალურად გამოიყენონ სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის, ბავშვთა კვებისა და მათი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

დათვალიერება გაგრძელდეს 1980 წლის ოქტომბრამდე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერების შედეგების შესახებ ანგარიშები წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს 1980 წლის 1-ლი ნოემბრისათვის, წარმოდგენილ მასალებში ყურადღება გაამახვილონ, აგრეთვე, ბავშვთა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შედეგებსა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი

ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 3 აპრილის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

გურჯაანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურის საგნის სწავლების და მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის შ ე ს ა ხ ებ

განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ გურჯაანის რაიონში (განათლების განყოფილების გამგე ვ. კახაბერი, ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორი ვ. ქაჩლიშვილი) უკანასკნელ წლებში პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად ჩატარებულია გარკვეული მუშაობა. ყველა სკოლას გააჩნია მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, სკოლების უმრავლესობა უზრუნველყოფილია აუცილებელი სპორტული იარაღით და ინვენტარით, განათლების სამინისტროს მიერ გამოშვებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით.

ფიზკულტურის საგნის სწავლება, კლასგარეშე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა შედარებით უკეთ არის დაყენებული ვაზისუბნის, ბაკურციხის, ჯიმითის და არაშენდის სკოლებში, სადაც მოვლილი და მოწესრიგებულია სპორტული ბაზები და ინვენტარი, დამაკმაყოფილებლად ტარდება ფიზიკური კულტურის გაკვეთილები, შინასასკოლო შეჯიბრებები და ფიზკულტურის კოლექტივის სექციების მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის სკოლებში შექმნილია მუშაობის შედარებით დამაკმაყოფილებელი პირობები, მთელ რიგ სკოლებში საგნის სწავლება და კლასგარეშე მუშაობა დაბალ დონეზე მიმდინარეობს.

გურჯაანის 1-ლ, მე-3, ველისციხის, შაშიანის, ვეჯინის, მახარაძის, კალაურის საშუალო სკოლებში ჯერ კიდევ არ იგრძნობა გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატეხა, საქმიანობის იმგვარი გარდაქმნა, როგორც ამას ითვალისწინებს განათლების სამინისტრო მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

ამ სკოლებში დამკვიდრებულმა გულგრილობამ, მასწავლებლებისადმი მომთხოვნელობისა და კონტროლის შესუსტებამ განაპირობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი პასუხისმგებლობის დაქვეითება, ფაქტიურად ჩაშლის პირამდე მიიყვანა ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობა. რეალიზებული არ არის მნიშვნელოვანი მოთხოვნა — ფიზკულტურა იქცეს ნამდვილ სასწავლო საგნად.

დღის რეჟიმის შემოწმებით გამოირკვა, რომ ერთადერთი ღონისძიება დიდი დასვენებაა, რომელიც დამაკმაყოფილებლად ტარდება რაიონის სკოლებში.

გურჯაანის 1-ლი საშუალო სკოლა შემოწმებულია სახალხო განათლების განყოფილების მიერ, მიღებულია შესაბამისი დადგენილება, მაგრამ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების განხორციელებაზე სათანადო კონტროლი არ დაწესებულა.

რაიონის ზოგიერთ სკოლაში არის ფაქტები კლასგარეშე მუშაობისათვის განკუთვნილი თანხების არასწორად გამოყენებისა. დამატებითი ანაზღაურება (განაკვეთის 0,25) ეძლევათ მცირე დატვირთვის მქონე მასწავლებლებს ხელფასის გაზრდის მიზნით, რომლებიც იშვიათად არიან სკოლაში და ამდენად, არ არიან ჩაბმული სკოლის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში.

ნაკლები ყურადღება ექცევა ზოგადი ფიზიკური მომზადების წრეებისა და მშთ ნორმატივების ჩასაბარებლად მოსამზადებელი სექციების მუშაობას, „იმედის სტარტების“ პროგრამით მოსწავლეთა შორის სავალდებულო სპორტულ-მასობრივი შეჯიბრებების ორგანიზებულად ჩატარებას.

მასწავლებელთა კადრები რაიონში რაციონალურად არ არის გამოყენებული. 55 ფიზკულტურის მასწავლებლიდან 39 მუშაობს განაკვეთზე ნაკლები დატვირთვით, მათ შორის 12 ნახევარ განაკვეთზე ნაკლები დატვირთვით, რაც ასუსტებს მასწავლებელთა პასუხისმგებლობას და სკოლაში მუშაობის ინტერესს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლას სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების პერსპექტიული გეგმები არ გააჩნია. სპორტსკოლას არა აქვს მოსწავლეთა პირადი საქმეები და სამედიცინო შემოწმების შედეგები, არ შესრულებულა მშთ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების შარშანდელი გეგმები. სპორტული სკოლის ხელმძღვანელობა, მწვრთნელები მუშაობენ მოუქნელად, სპორტის განვითარების დონის გაუთვალისწინებლად. პრიმიტიულ დონეზე წარმოებს სასწავლო-საწვრთნელი პროცესი.

სუსტად არის დაყენებული ფიზკულტურის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების მუშაობა. ვინაიდან განათლების განყოფილებაში არ ყავთ ფიზკულტურის საგნის სწავლების სასკოლო ინსპექტორი, მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს სპორტული სკოლის დირექტორს.

სუსტია სპორტული სკოლის დახმარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი. ფიზკულტურის მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობა შემოიფარგლება მხოლოდ ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების განხილვით.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დაევალოს გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებას მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს განათლების სამინისტროში კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა და დააწესოს მუდმივი კონტროლი შემუშავებულ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელებაზე.

1.1. სათანადო ყურადღება მიაქციოს ფიზკულტურის მასწავლებლებზე დატვირთვის სწორად განაწილებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, კლასგარეშე მუშაობისათვის განკუთვნილი **თანხების დანიშნულებისამებრ** გამოყენებას, სკოლების სასწავლო ცხრილში ფიზკულტურის გაკვეთილების განრიგებას.

1.2. **განსაკუთრებული** ყურადღება დაუთმოს სკოლებში სასწავლო პროცესის მეთოდურ სრულყოფას, კლასგარეშე სპორტულ-მასობრივ და გამაჯანსაღებელ მუშაობას, მიაღწიოს იმას, რომ ფიზკულტურის გაკვეთილი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.3. გადამჭრელი ზომები მიიღოს მოსწავლეთა მიერ მშთ ნორმატივების ჩაბარების გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც შექმნას სკოლაში მშთ ფიზკულტურული კომპლექსის მოსამზადებელი ჯგუფები. პროგრამით გათვალისწინებული ცურვის ნორმატივების ჩაბარებისათვის უზრუნველყოს არსებული საცურაო აუზების გამართული მუშაობა. მიაღწიოს იმას, რომ დამამთავრებელი კლასის ყველა მოსწავლე იყოს მშთ ნიშნოსანი.

1.4. არ დაუშვას კლასგარეშე ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების გვერდის ავლის შემთხვევა. მკაცრად დაიცვას სკოლებში სპორტული შეჯიბრებების ჩატარების სტაბილური კალენდარი, ყოველგვარი ზომები გაატაროს ბავშვთა სპორტული თამაშების „იმედის სტარტების“ პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩასატარებლად და მათში მოსწავლეთა მასობრივად ჩასაბმელად.

1.5. დააწესოს მკაცრი კონტროლი დილის გამამხნევებელი ვარჯიშების, გაკვეთილებზე ფიზკულტურული წუთშესვენებების, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი დიდი დასვენების ხარისხიანად ჩატარებაზე.

1.6. ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შეიმუშაოს ღონისძიებები მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმების გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეებისათვის შექმნას სპეციალური სამედიცინო ჯგუფები და აწარმოოს მათთან სისტემატური მეცადინეობა სამკურნალო ფიზკულტურაში, არსებული წესების დაცვით.

1.7. მკვეთრად აამაღლოს მომთხოვნელობა სპორტული სკოლის ხელმძღვანელობის, პედაგოგიური კოლექტივების, ფიზკულტურის მასწავლებელთა და მწვრთნელთა კადრების საქმიანობისადმი.

1.8. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობას, არსებული სპორტული ბაზების კეთილმოწყობას, მათ მოვლა-პატრონობას, სასწავლო-სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფას და მათი პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებას.

1.9. საგანგებო მსჯელობის საგნად გახადოს 1-ლ საშუალო სკოლაში და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლაში მოსწავლეთა ფიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურულ-სპორტულ გამაჯანსაღებელ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკურ აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდურმა რესპუბლიკურმა ცენტრმა (ამხ. ა. ღონღაძე) გააძლიეროს გურჯაანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლისადმი მეთოდური დახმარება და ხელმძღვანელობა. ფიზიკურ კულტურაში სასწავლო პროგრამის სრულად გავლისა და მოსწავლეთა მიერ პროგრამის ათვისების მიზნით ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს რაიონის სკოლები დამატებითი მეთოდური ლიტერატურით, საჭირო საცნობარო დოკუმენტებით და სათანადო მითითებებით, ხოლო პრაქტიკული დახმარების გასაწევად პერიოდულად მიავლინოს ადგილზე კვალიფიციური მეთოდისტები. ჩაატაროს მეთოდური კონფერენცია რაიონის ფიზკულტურის მასწავლებლებთან და აქტივთან მოსწავლეთა შორის ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

3 დაევალოს განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. თ. ჩიტაძე) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. დ. კვინიკაძე) 1981 წლის 1 იანვრიდან გურჯაანის რაიონის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლას გამოუყოს სასწავლო ნაწილის გამგის ერთი საშტატო ერთეული.

4. ცნობა გურჯაანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურის საგნის სწავლების და მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს გურჯაანის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს განსახილველად.

5. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე კონტროლი დაევალოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. დ. კვინიკაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 3 აპრილის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად უფროსკლასელთა საზოგადოებრივი აქტივობის ფორმირებისათვის ჭიათურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ მოისმინა და განიხილა რა შემოწმების მასალები, გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცნობა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად უფროსკლასელთა საზოგადოებრივი აქტივობის ფორმირებისათვის ჭიათურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის შესახებ“ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს.

2. დაევალოს ჭიათურის რაიონის განათლების განყოფილებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, პედაგოგიურ კოლექტივებს:

2.1. სრულყონ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა მოზარდებთან. პრაქტიკაში დანერგონ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები. კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიებები საკავშირო ლენინურ ჩავთლებში უფროსკლასელთა პრაქტიკული მონაწილეობისათვის. სისტემატიურად ჩაატარონ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატესტაცია.

2.2. სკოლებში მთელი აღმზრდელობითი საქმიანობა წარმართონ სასკოლო თვითმმართველობაზე დაყრდნობით. მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სწავლის ხარისხის ამაღლების, შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში; სისტემაში მოიყვანონ მოსწავლეთა კომიტეტების საქმიანობა. უზრუნველყონ მათი გავლენა მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის განვითარებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.3. უფრო ეფექტურად გამოიყენონ საზოგადოებრივი დავალებების როლი მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საზოგადოებრივ საქმიანობაში პედაგოგიურ ზედამხედველობასმოკლებულ, სწავლაში ჩამორჩენილ და პასიურ მოზარდთა ჩაბმას, სრულყონ და განამტკიცონ მოსწავლეთა კოლექტივების აღმზრდელობითი ფუნქცია, მიაღწიონ ოჯახისა და საზოგადოებრიობის საქმიანობის გააქტიურებას სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.

2.4. შემოქმედებითად მიუდგნენ აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვას, გაითვალისწინონ მოზარდების ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, მათი სურვილები და მისწრაფებები. იხელმძღვანელონ პრინციპით, რომ აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხისა და ეფექტურობის მაჩვენებელს განსაზღვრავს მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის დონე.

3. რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლმა გააუმჯობესოს საინსტრუქციო-მეთოდური, წრეობრივი და მასობრივი მუშაობა. პრაქტიკაში დანერგოს დადებითი გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და გავრცელება.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ შემოწმებული მასალის საფუძველზე ჭიათურის სახალხო განათლების განყოფილებამ გაატარა ორგანიზაციული ღონისძიებები:

არსებული ნაკლოვანებებისათვის ნავარძეთის, წირქვალის, პერევისის, ზოდის, მე-2, მე-3 საშუალო, ზედა და ქვედა უსახელოს რვაწლიანი სკოლების დირექტორებს პ. კუპატაძეს, ს. სხირტლაძეს, შ. გოგოლაძეს, ქ. დოლაქიძეს, გ. ბინაძეს — მიეთითათ.

5. ჭიათურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. გ. ცხადიაშვილი) გადაწყვეტილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოში ა/წლის დეკემბერში.

6. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად უფროსკლასელთა საზოგადოებრივი აქტივობის ფორმირებისათვის ჭიათურის რაიონის სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მიმდინარე წლის თებერვალში განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ შეისწავლა საკითხი — ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად უფროსკლასელთა საზოგადოებრივი აქტივობის ფორმირებისათვის ჭიათურის რაიონის სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. მიანიჭა რა აღნიშნულ საკითხს დიდი მნიშვნელობა, ჭიათურის რაიონის განათლების განყოფილება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ გადაწყვეტილებათა შუქზე.

ბრიგადის წევრები გაეცნენ რაიონის 13 საშუალო და 3 რვაწლიანი სკოლის, რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის, სახალხო განათლების საბჭოს საქმიანობას.

როგორც შემოწმების მასალებიდან ჩანს, ჭიათურის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების შესაბამისად მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის განვითარებისათვის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მათ მოსამზადებლად.

მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საკითხები პერიოდულად იხილება სახალხო განათლების საბჭოს, მეთოდგაერთიანებების, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, მასწავლებელთა კონფერენციებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობაში საზოგადოებრივი აქტივობის ფორმირების საკითხი 1979 წლის მაისში განხილულ იქნა პედაგოგიური ცოდნის უნივერსიტეტის სემინარზე.

უფროსკლასელი მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელებაში, სწავლების ხარისხის ამაღლებაში (1-ლი, მე-2, მე-3, მე-7, მე-8 რუსული, ზოდის, ნიგოზეთის, ნავარძეთის, პერევისის საშუალო, შუქრუთის, ზედა და ქვედა უსახელოს 8 წლიანი სკოლები). შექმნილია და მუშაობენ დახმარების საბჭოები, მოსწავლეები ჩაბმული არიან საგნობრივ წრეებში, ტარდება რეიდები საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსწავლეთა მიერ დღის რეჟიმის შესრულების შესწავლის მიზნით. ეწყობა დისპუტები, კონკურსები. სწავლის ხარისხის, აკადემიური მოსწრების საკითხები ხდება მოსწავლეთა კოლექტივების მსჯელობის საგანი. სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის ადგილებზე გაწეული ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება I და II მეოთხედის მიხედვით შესაბამისად 85,5% და 92,2%-ს უდრიდა (გასულ წელს შესაბამისად 82,7% და 91,6%).

მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის განვითარების საქმეში დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში მათი მონაწილეობა. რაიონის რიგ სკოლებში შექმნილია და მუშაობენ ლექტორიუმები „ჩვენი ლენინური კომკავშირი" (ნიგოზეთის მე-3 და მე-7, წირქვალის, დარკვეთის საშუალო სკოლები), „ისწავლე სწავლა" (რუსული საშუალო სკოლა), ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის შემსწავლელი წრეები (1-ლი, მე-3, მე-7 საშუალო სკოლები) და ა. შ. უფროსკლასელთა ერთი ნაწილი მონაწილეობს პოლიტინფორმაციების მომზადებაში. საინტერესოდ წარმართავს თავის საქმიანობას მე-3 საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი (ხელმძღვანელი ნ. ქავთარაძე).

უფროსკლასელთა საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებას ხელს უწყობს მათი გამოყენება პიონერებთან სამუშაოდ. პიონერულ რაზმებში, რაზმეულებში, შტაბებში, კლუბებში საქმიანობა, პიონერული ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარების ხელმძღვანელობა უღვიძებს მათ საზოგადოებრივი საქმიანობისადმი ინტერესს, უნვითარებს დამოუკიდებლობის ჩვევებს, ზრდის მათში პასუხის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგებლობის გრძნობას დაკისრებული მოვალეობისადმი (1-ლი, მე-2, დარკვეთის, წირქვალის საშუალო სკოლები). რაიონის პედაგოგიური კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ატარებენ სკკპ და საბჭოთა ხალხის სახელოვან რევოლუციურ საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისათვის. სისტემატიურად ეწყობა შეხვედრები ომისა და შრომის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან, ექსკურსიები, ლაშქრობები, დაუსწრებელი მოგზაურობები.

ყურადღებას იმსახურებს მე-3 საშუალო სკოლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა და ტურისტთა საქმიანობა. სკოლაში შექმნილია მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი. ამ სკოლის მოსწავლეები რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების მუდმივი მონაწილეები არიან.

ნიგოზეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები განსაკუთრებული ხასიათის ღონისძიებებს შინმოუსვლელთა ობელისკთან ატარებენ. აქ ხდება საზეიმო მიღება პიონერთა რიგებში, შეხვედრები ომის მონაწილეებთან და ა. შ. მე-2 და ნავარძეთის სკოლების მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფაშიზმზე გამარჯვების 35-ე წლისთავთან დაკავშირებით დიდების მემორიალის შექმნაში.

ქ. ჭიათურის 100 წლისთავის იუბილის ღირსეულად აღნიშვნის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობამ. უფროსების მხარდამხარ იზრუნეს ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის, მონაწილეობდნენ სპორტულ ზეიმსა და კონცერტებში.

ჭიათურის რაიონის სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა დამახასიათებელი ნიშანია მათი მაღალი შრომითი აქტივობა, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობა.

ჭიათურის 1-ლი, მე-2, მე-7, რუსული, ზოდის, დარკვეთის, წირქვალის საშუალო, ქერქუთის 8 წლიან სკოლებში შექმნილმა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებმა შეაკეთეს სასკოლო ინვენტარი და ავეჯი, კეთილმოაწყვეს სკოლის ტერიტორია. სისტემატურად მუშაობენ საცდელ ნაკვეთზე, აქტიურად მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, მეხუთე შრომით მეოთხედში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ პედაგოგიური კოლექტივები დიდ მუშაობას ეწევიან სკოლის აღსაზრდელთა საქმიანობაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩასაბმელად. ზოგიერთი საშეფო ორგანიზაცია მატერიალურ დახმარებასთან ერთად, რომელიც თავისთავად დადებითად მოქმედებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე, აქტიურად ეხმარება სკოლას აღმზრდელობითი ხასიათის საკითხთა გადაწყვეტაში (რუსული საშუალო სკოლის შეფი ორგანიზაცია თბილისის ელექტროგამთიშველების ქარხნის ფილიალი, სოფელ დარკვეთის საშუალო სკოლის შეფი ორგანიზაცია — დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველო ზედა უსახელოს 8 წლიანი სკოლის შეფი ორგანიზაცია სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მერძეველობისა და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა).

აღსანიშნავია ზოგიერთ სკოლაში მშობელთა კომიტეტების საინტერესო საქმიანობა. მე-2 საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტი შეფ საწარმოსთან ერთად ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. მშობელთა კომიტეტმა გააანალიზა რა მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის მიზეზები, № 25 მაღაროს დირექტორისა და პარტიული ორგანიზაციის მდივნის დახმარებით გაატარა ღონისძიებები და მაღაროში მომუშავე მშობელთა სამუშაო ცვლებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. ამავე სკოლის ერთ-ერთი მშობელი ი. ჯიშკარიანი საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს მოსწავლეთა დრამატულ კოლექტივს, რომელიც გასულ წელს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებაზე ოქროს მედლით იქნა დაჯილდოებული. საინტერესოდ მუშაობენ მშობელთა კომიტეტები ქალაქის რუსულ, 1-ლ, პერევისისა და სხვა სკოლებში.

სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის კავშირის განმტკიცების მიზნით განათლების განყოფილებების ინიციატივით, წარმოებების ხელმძღვანელთა და პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერით ტარდება ღონისძიებები დევიზით: „წარმოებაში მოვიდა პედაგოგი“. ჭიათურის სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ უფროსკლასელთა საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების მიზნით ჩატარებული მუშაობა დადებითად ეხმარება მათ მოზარდი თაობის

კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში. მაგრამ ამასთან ერთად, შემოწმებამ გვიჩვენა, რომ აღნიშნულ საქმიანობაში არის მეტად რიგი სერიოზული ნაკლოვანებები. ხშირ შემთხვევებში ამ მიმართებით მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებაში ნათქვამია, რომ სკოლაში მოსწავლეთა კოლექტივების საქმიანობა ხორციელდება თვითმმართველობის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო, დამახასიათებელ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სკოლების პედაგოგიური კოლექტივების აღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ ფართო გამოყენება ვერ ჰპოვა მოსწავლეთა თვითმმართველობამ, როგორც მათი ინიციატივისა და აქტივობის განვითარების მნიშვნელოვანმა საშუალებამ.

რაიონის სკოლების უმრავლესობაში არ არის მოსწავლეთა ინიციატივით და მათივე ხელმძღვანელობით შექმნილი სხვადასხვა გაერთიანებები, ინტერესების მიხედვით წრეები, კლუბები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ შესაბამისად საკავშირო განათლების სამინისტრომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავეს და 1978 წლის 12 ივლისს დაამტკიცეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა კომიტეტის დებულება. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა კომიტეტის დებულება დაყვანილ იქნა რესპუბლიკის სახალხო განათლების ყველა მუშაკამდე, პედაგოგამდე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დებულება, აგრეთვე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საინსტრუქციო წერილი მოსწავლეთა კომიტეტისადმი კომკავშირული ხელმძღვანელობის შესახებ, საკავშირო განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული დადებითი გამოცდილება ქ. ტაგანროგის მე-6 სკოლაში მოსწავლეთა კომიტეტების მუშაობის შესახებ დროულად იქნა დაყვანილი ჭიათურის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებამდე რაიონის პედაგოგიურმა კოლექტივებმა თითქმის არავითარი ინტერესი არ გამოიჩინეს მოსწავლეთა კომიტეტების მუშაობის ორგანიზაციისა და გააქტიურების მიზნით.

როგორც ჩანს, რაიონის სკოლების უმრავლესობაში სათანადოდ ვერ გაერკვნენ აღნიშნულ საკითხში და შედეგებიც არასასურველია. შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში მოსწავლეთა კომიტეტები შექმნილია ფორმალურად, ზოგან კი დღემდე საერთოდ არ შექმნილა (მე-8 საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. ჯიშკარიანი). მოსწავლეთა კომიტეტებს არადამაკმაყოფილებელ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ სკოლის დირექტორები. კომისიებზე მიმაგრებული არ არიან ცალკეული პედაგოგები. სუსტია კომკავშირის კომიტეტის ხელმძღვანელი როლი მოსწავლეთა კომიტეტის საქმიანობისადმი. ალკკ და მოსწავლეთა კომიტეტებს შორის ხდება საკითხთა დუბლირება, პარალელიზმი. ხშირ შემთხვევებში მოსწავლეთა კომიტეტების საქმიანობა შემოიფარგლება სანიტარული და სამეურნეო საკითხებით.

ქალაქის მე-2 საშუალო სკოლაში დარღვეულია მოსწავლეთა კომიტეტების დებულების ძირითადი მოთხოვნა—მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე ალკკ კომიტეტში არჩეული არ არის.

ზოდის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა კომიტეტი აირჩიეს და ამით დამთავრდა ყველაფერი, მოსწავლეებმა არ იციან რა ფუნქციებს უნდა ასრულებდეს კომიტეტი, სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი მათ არავითარ დახმარებას არ უწევს.

ნავარძეთის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა კომიტეტი არჩეულია, მაგრამ მუშაობა სტიქიურად მიმდინარეობს. ანალოგიური მდგომარეობაა ზედა და ქვედა უსახელოს, პერევისის, წირქვალისა და სხვა სკოლებში.

რაიონის არც ერთ სკოლაში, პედაგოგიური საბჭოს არც ერთ სხდომაზე, კომკავშირის კომიტეტზე, მეთოდგაერთიანებებზე არ განხილულა საკითხი მოსწავლეთა კომიტეტების საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ. არც ერთი დირექტორი არ დაინტერესებულა აღნიშნული საკითხით, არც ერთი პედაგოგი არ ჩადგომია რომელიმე კომისიის საქმიანობას სათავეში.

უფროსკლასელ მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის განვითარების ქმედით ფორმად არ ქცეულა საკავშირო ლენინური ჩათვლა — მოსწავლეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდის უმ-

ნიშვნელოვანესი საშუალება. მოსწავლეთა უმრავლესობას ვალდებულებები აღებული აქვს ფორმალურად, ისინი პრაქტიკულად [illegible] სრულდება (მე-2, მე-3, მე-8, რუსული, ზოდის საშუალო სკოლები), ზოგიერთ სკოლაში კი ამ მიმართებით დღემდე თითქმის არაფერი აქვთ გატარებული (ნავარძეთის საშუალო სკოლა). არ ტარდება ლენინური ჩათვლების მოთხოვნათა შესაბამისად ლენინური კითხვები, კონფერენციები, ლენინური გაკვეთილები, ლექციები. არ მოქმედებენ საატესტაციო კომისიები. ამ სკოლების პედაგოგიური კოლექტივები შეგუებულნი არიან აღნიშნულ მდგომარეობას, არ იღებენ ზომებს მათ გამოსასწორებლად. არ უწევენ ქმედით დახმარებას მოსწავლეთა თვითმმართველ ორგანოებს. სწორედ ამის შედეგია, რომ უფროსკლასელთა დიდი უმრავლესობა ზედაპირულადაა გაცნობილი ვ. ი. ლენინის შრომებს, პარტიისა და კომკავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებს. არ იცნობენ საკუთარ კომპლექსურ გეგმებს. ვერ შესძლეს პასუხი გაეცათ ელემენტარულ კითხვებზე.

რაიონის მთელ რიგ სკოლებში პედაგოგიური კოლექტივებისაგან არ იგრძნობა სათანადო დახმარება კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობისადმი. კრებები ტარდება იშვიათად და იხილება ერთიდაიგივე საკითხები. საკითხების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს მოსწავლე ახალგაზრდობა, რაც თავისთავად იწვევს მათი საზოგადოებრივი აქტიურობის დაქვეითებას, უკარგავს ინტერესს საზოგადოებრივი საქმიანობისადმი (წირქვალის რუსული, ნიგოზეთის, ზოდის და სხვა სკოლები).

პედაგოგთა დიდი უმრავლესობა სათანადოდ ვერ იყენებს უფროსკლასელებს პიონერებთან სამუშაოდ. იმის გამო, რომ უფროსკლასელები არ გრძნობენ სათანადო მხარდაჭერას და დახმარებას პედაგოგებისაგან, ფორმალურად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას.

როგორც საკითხის შესწავლისას გამოირკვა, უფროსკლასელთა უმრავლესობას არა აქვს არავითარი დავალება. წირქვალის სკოლაში 30 მერვეკლასელიდან დავალება მხოლოდ 2 აქვს. ადგილი აქვს ისეთ ფაქტებსაც, როცა ზოგიერთი მოსწავლე გადატვირთულია დავალებებით, მათ უმრავლესობას კი დავალება საერთოდ არა აქვს. არ ხდება დავალებათა კოორდინაცია, მათი გონივრული, მოსწავ-

ლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გა-
ნაწილება. მე-7 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ბ. კერე-
სელიძე არის გაზეთის რედაქტორი, რაზმის ხელმძღვანელი, კლასის
ორგანიზატორი, კლუბებისა და სკოლის ალკკ კომიტეტის წევრი.
ამავე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ხვედელიძეს ერთდროულად
აქვს დაკისრებული კლასბიუროს მდივნისა და კლასის ორგანიზატო-
რის მოვალეობა. ეს მაშინ, როცა 34 მოსწავლიდან ამ კლასში დავა-
ლება მხოლოდ 4 ბავშვსა აქვს მიცემული. შემოწმებული სკოლების
უმრავლესობაში არ ხორციელდება კონტროლი განაწილებული და-
ვალებების შესრულებაზე, დამახასიათებელი ფაქტია ის, რომ მაღალ
კლასებში, განსაკუთრებით მე-10 კლასებში თითქმის არ ხდება ახალ-
გაზრდებზე დავალებების განაწილება. ასევე დამახასიათებელ ფაქ-
ტად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივ საქმიანობაში უფროს-
კლასელ ვაჟთა მონაწილეობის საკითხი, არჩევით ორგანოებში აბ-
სოლუტურ უმრავლესობას გოგონები შეადგენენ. ეს საკითხი პედა-
გოგიური ყურადღების მიღმაა დარჩენილი. მათ მიერ ჯერ კიდევ
სრულად არ არის გამოყენებული საზოგადოებრივი დავალებების
აღმზრდელობითი ხასიათი. როგორც წესი, მოსწავლეთა ეს კატეგო-
რია, რომელიც განსაკუთრებულ პედაგოგიურ ზედამხედველობას
საჭიროებს და ე. წ. „ძნელადაღსაზრდელთა" კატეგორიას განეკუთ-
ვნება, დავალებების გარეშეა დარჩენილი. პედაგოგიური კოლექტი-
ვები ნაკლებად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და
ინტერესებს.

ცუდად მუშაობენ პედაგოგიური კოლექტივები ძნელადაღსაზრ-
დელ და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან. მათი უმრავ-
ლესობა არაა ჩაბმული წრეებში, კლუბებში, გაერთიანებებში. ხში-
რია შემთხვევები, როცა თანაკლასელის მიერ ჩადენილ დისციპლი-
ნის დარღვევის ფაქტზე, დანაშაულზე არ მსჯელობენ მოსწავლეები,
არ აძლევენ მას პრინციპულ შეფასებას.

გასული წლის 15 დეკემბერს მე-7 საშუალო სკოლის მოსწავლე
ბოდოკიამ მონაწილეობა მიიღო მოქალაქის პირადი ქონების ქურ-
დობაში. სამინისტროში წარმოდგენილი მასალის მიხედვით სკოლა-
ში თითქოს სწორად გაკეთდა ამ ფაქტზე რეაგირება. მაგრამ ადგილ-
ზე შემოწმებით გამოირკვა, რომ მოსწავლეთა კოლექტივს არ ქონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საკითხზე მსჯელობა, არ შექმნილა საზოგადოებრივი აზრი. ხალხშიდე არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რომ ბოდოკია ჩაბმულიყო რომელიმე წრეში. არც ერთ უფროსკლასელს არ უზრუნია მისი სწავლისა თუ თავისუფალი დროის ორგანიზებაში მონაწილეობის საკითხზე.

ამავე სკოლაში 12 ძნელადაღსაზრდელია. მათთან მუშაობა კი მხოლოდ საუბრებით განისაზღვრება.

ანალოგიური მდგომარეობაა მე-8 სკოლაშიც. აქ ჩამოყალიბებული „ძნელადაღსაზრდელებთან მუშაობის საბჭო" არავითარ მუშაობას არ ეწევა. სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი ამხ. მ. ცხადაძე საერთოდ ვერ ერკვევა მასზე დაკისრებულ მოვალეობაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ბავშვებთან მუშაობა მხოლოდ რეიდების მოწყობით ამოიწურება. მუშაობის სხვა ფორმები თითქმის უგულებელყოფილია. არ არსებობენ მოზარდთა კლუბები, გაერთიანებები, წრეები ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით. მთლიანად არ არის გამოყენებული სასოფლო კლუბების, ბიბლიოთეკების შესაძლებლობები ამ მიმართებით.

კლასის ხელმძღვანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ნაცვლად იმისა, რომ ყოველმხრივ ანვითარებდეს ბავშვთა ინიციატივასა და საზოგადოებრივ აქტივობას, დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით ამუხრუჭებს და ახშობს მას. მთელ რიგ სკოლებში კლასის ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ, ზერელედ ეკიდებიან აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვას, კლასში აღმზრდელობითი საქმიანობის სისტემის შექმნას. მათი უმრავლესობა გატაცებულია მუშაობის სიტყვიერი ფორმით — საუბრით. საყურადღებოა სასაუბრო თემატიკა, ძირითადად, სადღესასწაულო თარიღებთანაა დაკავშირებული და საგულდაგულოდაა კალენდარიდან ამოწერილი. მოზარდებთან მუშაობის პროცესში ნაკლებად იყენებენ, ან საერთოდ უგულებელყოფენ ისეთ საინტერესო ფორმებს, როგორიცაა დისპუტი, კონფერენცია, ვიქტორინა, ზეპირი ჟურნალი და სხვა. კლასის ხელმძღვანელთა უმრავლესობა შემოქმედებითად არ უდგება აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ საქმიანობაში ჭარბობს ერთფეროვნება და ფორმალიზმი. ავიწყდებათ, რომ მთელი აღმზრდელობითი საქმიანობა კლასთან სწორედ მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით უნდა წარმართონ. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ მათ აღმზრდელობითი მუშაობის გეგმებს ცოტა აქვს საერთო კომკავშირული ჯგუფების, კლასბიუროების სამუშაო გეგმებთან. ნაკლებად გამოხატავენ მოზარდების სურვილებს, ინტერესებს. ნიგოზეთის საშუალო სკოლის მე-10 კლასის ხელმძღვანელს ამხ. პაპიძეს კლასის მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მიზნით გათვალისწინებული აქვს ცამეტი საკითხი და მათგან ცამეტივე საუბარია. 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის ხელმძღვანელს ამხ. სეფისკვერაძეს სასწავლო წლის მეორე ნახევარში გათვალისწინებული აქვს მოსწავლეებისათვის ოცდათხუთმეტამდე სხვადასხვა სახის საუბრის ჩატარება. ანალოგიური ფაქტების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება (მე-7 სკოლა—ამხ. ამხ. სვანიძე, დათეშიძე, რუსული სკოლა — ნადირაძე, მე-8 სკოლა — ტყემალაძე, მე-5 სკოლა — იობაშვილი და სხვა). აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ საუბრების ჩატარება ისეთ საკითხებზეა გათვალისწინებული, რომელიც სავსებით არ შეესაბამება მოზარდების ასაკს და არავითარ ინტერესს არ იწვევს მათში.

მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურის ზოგიერთ სკოლაში პედაგოგიური კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ატარებენ სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მშობლების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა აქტიურად ჩასაბმელად, ამ მიმართებით რაიონში მიმდინარე მუშაობა მაინც არასაკმარისი და ნაკლებად ეფექტურია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა შეფები სკოლის მიმართ ყურადღებას მატერიალური დახმარების აღმოჩენით გამოხატავენ, არავითარ მონაწილეობას არ იღებენ აღმზრდელობით პროცესში. მშობელთა კომიტეტების საქმიანობა კი, ძირითადად, სამეურნეო საკითხების მოგვარებით ამოიწურება (მე-5, მე-8, ზოდის საშუალო, ზედა და ქვედა უსახელოს, 8-წლიანი სკოლები). ამ საკითხებზე პასუხისმგებლობა მთლიანად სკოლის ხელმძღვანელებსა და პედაგოგიურ კოლექტივებს ეკისრებათ, რომლებმაც ვერ შესძლეს უზრუნველეყოთ ოჯახის, საზოგადოებრიობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრიდან სკოლაზე მიზანდასახული აღმზრდელობითი ზემოქმედება.

სკოლის აღმზრდელობითი საქმიანობის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული ჩატარებული მუშაობის შედეგების სწორ ანალიზზე. სკოლების ხელმძღვანელები, პედაგოგები დროულად უნდა ამჩნევდნენ ნაკლოვანებებს, სახავდნენ გზებს მათ გამოსასწორებლად. როგორც საკითხის შესწავლამ დაგვანახვა, ჭიათურის ზონის სკოლების აბსოლუტური უმრავლესობა არ ახდენს ჩატარებული ღონისძიებების ანალიზს.

მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების საქმეში სკოლას არსებითი დახმარება უნდა გაუწიოს პიონერთა სახლმა, რომელიც ორგანიზაციას უკეთებს პიონერული და კომკავშირული აქტივის სწავლებას, ამზადებს ინსტრუქტორებს. მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურის პიონერთა სახლი (დირექტორი მ. ჩახუნაშვილი) გარკვეულ მუშაობას ატარებს ამ მიმართებით, მისი მეთოდურ-პრაქტიკული პოტენციალი ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე. პიონერთა სახლი ვერ ასრულებს მეთოდური ცენტრის ფუნქციას, ვერ უწევს სათანადო მეთოდურ დახმარებას კლასის ხელმძღვანელებსა და უფროს პიონერხელმძღვანელებს, იშვიათად ტარდება ამ მიზნით გასვლითი სემინარი, ნაკლები ყურადღება ეთმობა დადებითი გამოცდილების განზოგადებასა და პროპაგანდას.

საკითხის შემოწმების პროცესში აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიის მეშვეობით ჩატარდა მოსწავლეთა შერჩევითი გამოკვლევა. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, რამდენად არის მოსწავლე ახალგაზრდობა ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში, როგორია მისი აქტიურობის კოეფიციენტი. სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით გამოკითხული იქნა 500 მოსწავლე. მათ შორის საზოგადოებრივი დავალების გარეშე აღმოჩნდა გამოკითხულთა 17,2%. ამდენივეს აღმოაჩნდა მხოლოდ ერთდროული დავალება (ისეთი, როგორიცაა კლასში მორგეობა). გამოკითხულთა 52% აღმოაჩნდა დავალება, რომელიც, როგორც გამოირკვა, უმეტეს შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

შემოწმების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები მოწმო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბენ, რომ განათლების განყოფილება სათანადოდ ვერ წარმართავს აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობას. შესუსტებულია მომთხოვნელობა და კონტროლი სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებისადმი, პედაგოგიური კოლექტივებისადმი. საბჭოს სხდომებზე იშვიათად იხილება აღმზრდელობითი მუშაობის პირობები, კონკრეტული საკითხები. მეტი ყურადღებაა საჭირო მეთოდური სამსახურის სრულყოფისათვის, არსებული დადებითი გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და დანერგვისათვის.

შემოწმების მასალები გაცნობილ იქნა წინასწარ თათბირზე, რომელიც ჩატარდა ქ. ჭიათურაში და ესწრებოდნენ სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელები, პედაგოგიური კოლექტივებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, ხელმძღვანელი საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის 1980 წლის 3 აპრილის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში სპორტული ბაზების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის შემაჯამებელი შედეგების შ ე ს ა ხ ებ

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის 1975 წლის 29 ნოემბრის ერთობლივი დადგენილებით 1976 წლის 1 იანვრიდან რესპუბლიკაში ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტული ბაზების დათვალიერება-კონკურსი, მიძღვნილი მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი.

დათვალიერება-კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში განათლების ორგანოების, პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების, პედაგოგიური და მშობელთა კომიტეტების აქტიურმა საქმიანობამ დიდად შეუწყო ხელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპლექსური სპორტული მოედნებითა და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფას. სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებამ ხელი შეუწყო სპორტულ სექციებში ჩაბმულ მოსწავლეთა რაოდენობის ზრდას, უფრო მოსახერხებელი გახდა „იმედის სტარტებში“ და მშთ კომპლექსის მრავალჭიდში მოსწავლეთა მასობრივი მონაწილეობა და მეცადინეობამდე გამაჯანსაღებელი ვარჯიშისა და დიდ დასვენებებზე მარტივი მოძრავი თამაშობების ჩატარება, ამაღლდა შინასასკოლო, სარაიონო და საქალაქო შეჯიბრებების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი. ხელი შეეწყო განათლების სამინისტროს № 262-247 ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადატანილ დაწყებითი (მოსამზადებელი) ჯგუფების მეცადინეობებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დათვალიერება-კონკურსის პერიოდში აშენდა 13 საცურაო აუზი, 147 სასპორტო დარბაზი, მოეწყო 512 კალათბურთის მოედანი, 554 ფრენბურთის და 230 ხელბურთის მოედანი, 94 სასროლი ტირი, 285 მძლეოსნური სექტორი და 84 მშთ ფიზკულტურული კომპლექსის წინაღობათა ზოლი, კაპიტალურად შეკეთდა 245 სასკოლო დარბაზი და ა. შ.

ამ მიმართებით განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა ქალაქების თბილისის, ქუთაისის, გორის, ტყიბულის და მახარაძის, აბაშის, გორის, ახალციხის, თელავის, გურჯაანის, ლანჩხუთის, ცაგერის, გეგეჭკორის, გარდაბნის, ამბროლაურის, დმანისის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მესტიის, ქარელის, ხობისა და თერჯოლის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლებში.

აშენებული სპორტული ნაგებობების ხარისხისა და კეთილმოწყობის მიხედვით აღსანიშნავია თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურისა და სოფელ ართანის, ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის, ცაგერის რაიონის სოფელ ოკურბის, ვანის რაიონის სოფელ ბზვანისის, ზესტაფონის 1-ლი საშუალო-სკოლის, გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის სკოლების საცურაო აუზები. ქ. თბილისის 120-ე, 39-ე, ქ. ტყიბულის მე-5, მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის, გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელას საშუალო სკოლების სპორტული დარბაზები; თბილისის 120-ე, 39-ე, 51-ე, ქუთაისის მე-2, 32-ე, გორის მე-13, ფოთის მე-8, ზუგდიდის მე-2, ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისის, გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის, ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალის, თერჯოლის რაიონის სოფელ ჯოგნარის, აბაშის რაიონის სოფლების ქოლობნისა და განათლებისკარის, ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოსა და სოფელ მეორე სვირის მე-2 საშუალო სკოლის, ქარელის რაიონის სოფელ გარიხის, მახარაძის რაიონის სოფელ ბაილეთისა და გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახარებაოს რვაწლიანი სკოლების მარტივი ტიპის სპორტული მოედნები და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სამთო სახეობების რესპუბლიკური სკოლის ბაზა თელავში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვნად გაიზარდა, აგრეთვე, ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლების კომპლექსური სპორტული ნაგებობების რაოდენობა. მუშაობის კარგი პირობები შეექმნათ ქალაქების გორის, ბათუმის, ქუთაისის, თელავის, ზესტაფონის, ყვარლის, მესტიის რაიონების სასპორტო სკოლებს, სადაც სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესებით შესაძლებელი გახდა მალალი თანრიგის მოსწავლე-სპორტსმენთა მომზადება.

სხვადასხვა ტიპის სპორტული ბაზების მოწყობას, თვითმოქმედი მშენებლობის სტიმულირებას, მოსწავლე ახალგაზრდობას შორის შრომითი ჩვევებისა და პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შეფი წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ გაწეულმა საქმიანობამ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სასპორტო სკოლებს სპორტული ბაზების კეთილმოწყობაში განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინეს: ავჭალის შუშის ქარხნის, თბილისის საბაგირო გზების სამმართველომ, ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის, ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის კოლმეურნეობებმა, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანების მებოსტნეობა-მევენახეობის, ქედის რაიონის სატყეო, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინის ჩაის, ახალციხის რაიონის სოფელ წნისის ხეხილ-სანერგეს, აბაშის რაიონის სოფელ ქოლობნის, დმანისის რაიონის სოფელ გომარეთის, ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვრის, კასპის სატყეო მეურნეობებმა, საქართველოს თამბაქოს გაერთიანებამ, ა/კ რკინიგზის თბილისის სალიანდაგო დისტანციამ, ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტმა, ქუთაისის საავტომობილო სატრანსპორტო და ლითოფონის ქარხნებმა და მაუდის ფაბრიკამ, საქნავთის ტრესტის ჭალადიდის ბურღვის კანტორამ, კოლხიდის საგზაო-სამშენებლო სამმართველომ, აგარის ხილ-კენკროვანი ღვინოების ქარხანამ, საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს მე-20 უბანმა, ქ. გორის № 9 სამშენებლო ტრესტის № 132 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ, რკინა-ბეტონის № 5 ქარხანამ, მთავარგაზის სამშენებლო სამმართველომ, გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელას სახელმწიფო ბიოკომბინატმა, ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბის ავეჯის

ფაბრიკამ, ტრესტ „ალაზანმშენის“ № 1 სამმართველომ, აბაშის რაიონის წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამმართველომ, საქსოფლტექნიკის გორის რაიონულმა განყოფილებამ და პურპროდუქტების საწარმოო კომბინატმა, გეგეჭკორის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობამ და ა. შ.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების განათლების ორგანოები, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები სასკოლო სპორტული ბაზების დათვალიერება-კონკურსს უგულისყუროდ მოეკიდნენ; აღინიშნება, აგრეთვე, ზოგ რაიონში შეფი წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების სკოლისადმი ნაკლები დახმარება, შეფები ნაკლებად ეხმარებიან სკოლას აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მარნეულის, ბოლნისის, მაიაკოვსკის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, თეთრიწყაროს, თიანეთისა და წალკის რაიონებში.

რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია რესპუბლიკის არც ერთ დაწყებით სკოლას, რაც გამოწვეულია იმით, რომ პროფკავშირულ-კომკავშირული, განათლებისა და სპორტის ადგილობრივი ორგანიზაციები არავითარ ყურადღებას არ უთმობენ დაწყებით სკოლებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნას.

დათვალიერება-კონკურსის მიმდინარეობა პერიოდულად შუქდებოდა პრესის ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლების სპორტული ბაზების რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულად იქნან ცნობილი და დაჯილდოვდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფულადი პრემიითა (3000 მანეთის ფარგლებში) და საპატიო სიგელებით

ქალაქის საშუალო სკოლებიდან:

თბილისის 120-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ა. ივანიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი შ. ავსაჯანიშვილი).

სოფლის საშუალო სკოლებიდან:

გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის საშუალო სკოლა (დირექტორი ა. მაჭარშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. სირბილაძე) და თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარის საშუალო სკოლა (დირექტორი გ. გრიგალაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ე. ლანჩავა).

სოფლის რვაწლიანი სკოლებიდან:

მახარძის რაიონის სოფელ ბაილეთის რვაწლიანი სკოლა (დირექტორი ვ. ზაქაიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ნ. როყვა) და ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი პ. დარსანია, ფიზკულტურის მასწავლებელი თ. წურწუმია), გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახარებაოს რვაწლიანი სკოლა (დირექტორი ე. სულავა, ფიზკულტურის მასწავლებელი რ. გვალია).

სპორტული ბაზების მოწყობის, თვითმოქმედი მშენებლობის სტიმულირების, მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბების საქმეში გაწეული ნაყოფიერი საქმიანობისათვის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

ავჭალის შუშის ქარხანა (დირექტორი მ. ინწკირველი), პურპროდუქტების გორის საწარმოო კომბინატი (დირექტორი ჯ. ჭელიძე), ჭოგნარის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი კ. ვერულაშვილი), ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ა. ქარჩავა, გეგეჭკორის რაიონის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ზ. კიკილაშვილი), გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელას სახელმწიფო ბიოკომბინატი (დირექტორი ც. მენთეშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი), ტრესტ „ალაზანმშენის“ № 1 სამშენებლო სამმართველო (უფროსი რ. ელიზბარაშვილი, მთავარი ინჟინერი თ. ანთიძე), ქუთაისის საავტომობილო ქარხანა (დირექტორი ვ. ხარებავა), მახარაძის რაიონის სოფელ ბაილეთის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. მეხუზლა).

თბილისის 39-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ჟ. ხელაშვილი), ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ა. გვაზავა), ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალის საშუალო სკოლა (დირექტორი ი. ხეცურიანი).

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, პროფკავშირთა საოლქო, საქალქო, რაიონულ საბჭოებს, საქართველოს კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო, საქალქო, რაიონულ კომიტეტებს მიიღონ ქმედითი ზომები, რათა შემდგომშიც მოეწყოს თითოეულ ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში სხვადასხვა ტიპის სპორტული ბაზები, უზრუნველყონ ისინი საჭირო სპორტული ინვენტარით. ამ საქმის გადაწყვეტაში მიაღწიონ წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების კონკრეტულ დახმარებას.

3. დაევალოს გაზეთების: „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“, „ლელოს“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალურ დამატება „მართვეს“ რედაქციებს, ეთხოვოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ახალგაზრდულ და სპორტულ რედაქციებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად მეტი ყურადღება მიაქციონ ზოგადსაგანმანათლებლო, ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში სპორტული ბაზების მშენებლობის საქმეს, ფართოდ გააშუქონ მოწინავეთა გამოცდილება, ყურადღება მიაქციონ პრობლემებს და კრიტიკული წერილებისა და პუბლიკაციების სისტემატურად გამოქვეყნებას.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლების სპორტული ბაზების დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული სკოლების სპორტული ინვენტარითა და ცალკეული პირების სამახსოვრო ფასიანი საჩუქრებით დასაჯილდოებლად თითოეულმა გამოყოს 5 ათასი მანეთი, აღნიშნული თანხის ცენტრალიზება მოხდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში.

5. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. დ. კვინიკაძე), საქართველოს პროფსაბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილებას (ამხ. თ. წივწივაძე), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. რ. ღარიბაშვილი), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის სამმართველოს (ამხ. ნ. მესხი).

საქართველოს პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
თ. მოსაშვილი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჟ. შარტავა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის
კომიტეტის თავმჯდომარე
დ. პერტენავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1980 წლის 4 აპრილის

ბრძანება № 272

დაჯილდოების შესახებ

ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში წლების განმავლობაში აქტიური მონაწილეობისათვის და მოსწავლეთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით:

1. კუხიანიძე ტიტიკო ერასტის ძე — ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
2. ბედიაშვილი დავით აბესალომის ძე — ქ. ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის მასწავლებელი
3. ღვედიაშვილი თენგიზ ილიას ძე — ქ. რუსთავის მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებელი
4. გრიგოლაშვილი ლუიზა დავითის ასული — ქ. გორის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი
5. მუჯირი გურამ ვასილის ძე — მახარაძის რაიონის სოფელ მერიის საშუალო სკოლის მასწავლებელი
6. რიქამაძე შალვა ვასილის ძე — ქ. ტყიბულის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი
7. ბოკუჩავა დავით ივანეს ძე — ქ. რუსთავის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სკოლებსა და სახალხო განათლების განყოფილებებში მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა პირადი საქმეებისა და შრომის წიგნაკების წარმოების მდგომარეობის შესახებ 3

გადაწყვეტილება — გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 9

გადაწყვეტილება — მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების მე-5 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-6 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ 17

გადაწყვეტილება — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის დადგენილების შესრულების საქმეში ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის გარდაბნის, ლაგოდეხის, ონის, სამტრედიის, ცაგერის, წალკის, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონების და სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილებათა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ გაწეული მუშაობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 35

გადაწყვეტილება — სასკოლო საბიბლიოთეკო კოლექტორის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ 58

Решение — о серьезных недостатках в работе школьного библ-коллектора и мерах по их устранению 62

დადგენილება — მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადების შესახებ 66

გადაწყვეტილება — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 19 თებერვლის № 157 დადგენილების შუქზე რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სკოლამდელ დაწესებულებათა დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ 74

გადაწყვეტილება — გურჯაანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურის საგნის სწავლების და მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ 77

გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად უფროსკლასელთა საზოგადოებრივი აქტივობის ფორმირებისათვის ჭიათურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ 82

დადგენილება — საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში სპორტული ბაზების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის შემაჯამებელი შედეგების შესახებ . . 96

ბრძანება № 272 — დაჯილდოების შესახებ 103